გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 70
(11 424)

5 – 7 სექტემბერი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ათენიდან - სიდნეიმდე!

## 1896–1996




## ოლიმპიური თამაშების ყველა მედალი

**საქართველო 1952 წლიდან მოპოვებული მედლებით (95) მსოფლიოს 30 ყველაზე სპორტულ ქვეყნებს შორისაა (25-ე ადგილი)**

| | სულ | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 1974 | 815 | 623 | 536 |
| 2. რუსეთი(სსრკ) | 1193 | 467 | 382 | 344 |
| 3. გერმანია | 1113 | 359 | 370 | 384 |
| 4. დიდი ბრიტ. | 616 | 170 | 224 | 222 |
| 5. საფრანგეთი | 519 | 161 | 172 | 186 |
| 6. იტალია | 430 | 159 | 130 | 141 |
| 7. უნგრეთი | 414 | 140 | 123 | 151 |
| 8. შვედეთი | 450 | 134 | 149 | 167 |
| 9. ფინეთი | 289 | 98 | 79 | 112 |
| 10. იაპონია | 280 | 93 | 89 | 98 |
| 11. ავსტრალია | 292 | 87 | 85 | 120 |
| 12. რუმინეთი | 239 | 63 | 77 | 99 |
| 13. ჩეხ. (ჩეხოსლ.) | 159 | 53 | 53 | 53 |
| 14. ჩინეთი | 164 | 52 | 63 | 49 |
| 15. პოლონეთი | 227 | 50 | 67 | 110 |
| 16. ჰოლანდია | 183 | 49 | 56 | 78 |
| 17. კანადა | 210 | 48 | 77 | 85 |
| 18. კუბა | 116 | 46 | 36 | 34 |
| 19. ბულგარეთი | 182 | 43 | 76 | 63 |
| 20. ნორვეგია | 118 | 41 | 41 | 36 |
| 21. შვეიცარია | 159 | 40 | 63 | 56 |
| 22. კორეა | 126 | 38 | 42 | 46 |
| 23. დანია | 150 | 36 | 58 | 56 |
| 24. ბელგია | 127 | 34 | 48 | 45 |
| 25. თურქეთი | 59 | 30 | 16 | 13 |
| 26. ახალი ზელ. | 68 | 29 | 12 | 27 |
| 27. იუგოსლავია | 90 | 27 | 31 | 32 |
| 28. ესპანეთი | 64 | 22 | 25 | 17 |
| 29. საბერძნეთი | 78 | 20 | 30 | 28 |
| 30. სამხ.აფრიკა | 58 | 19 | 18 | - |
| 31. ავსტრია | 75 | 15 | 27 | 33 |
| 32. კენია | 47 | 14 | 17 | 16 |
| 33. არგენტინა | 50 | 13 | 21 | 16 |
| 34. ბრაზილია | 54 | 12 | 13 | 29 |
| 35. მექსიკა | 41 | 9 | 13 | 19 |
| 36. უკრაინა | 23 | 9 | 2 | 12 |
| 37. კორეის დ/რ. | 26 | 8 | 6 | 12 |
| 38. ირლანდია | 19 | 8 | 5 | 6 |
| 39. ინდოეთი | 15 | 8 | 3 | 4 |
| 40. ეთიოპია | 16 | 8 | 1 | 7 |
| 41. ესტონეთი | 23 | 7 | 6 | 10 |
| 42. ეგვიპტე | 18 | 6 | 6 | 6 |
| 43. იამაიკა | 32 | 5 | 16 | 11 |
| 44. ირანი | 36 | 5 | 13 | 18 |
| 45. მაროკო | 11 | 4 | 2 | 5 |
| 46. პორტუგალია | 15 | 3 | 4 | 8 |
| 47. ყაზახეთი | 11 | 3 | 4 | 4 |
| 48. ინდონეზია | 10 | 3 | 4 | 3 |
| 49. პაკისტანი | 10 | 3 | 3 | 4 |
| 50. ალჟირი | 7 | 3 | 0 | 4 |
| 51. ნიგერია | 14 | 2 | 5 | 7 |
| 52. ურუგვაი | 9 | 2 | 1 | 6 |
| 53. ბელარუსი | 15 | 1 | 6 | 8 |
| 54. უგანდა | 6 | 1 | 3 | 2 |
| 55. პერუ | 4 | 1 | 3 | 0 |
| 56. ტრინიდადი | 9 | 1 | 2 | 6 |
| 57. ვენესუელა | 8 | 1 | 2 | 5 |
| 58. ტუნისი | 6 | 1 | 2 | 3 |
| 59. ხორვატია | 5 | 1 | 2 | 2 |
| 60. ტაილანდი | 6 | 1 | 1 | 4 |
| 61. ბაგამის კ-ბი | 4 | 1 | 1 | 2 |
| 62. სლოვაკეთი | 3 | 1 | 1 | 1 |
| 63. სომხეთი | 2 | 1 | 1 | 0 |
| 64. ლუქსემბ. | 2 | 1 | 1 | 0 |
| 65. კოსტა-რიკა | 2 | 1 | 1 | 0 |
| 66. სირია | 2 | 1 | 1 | 0 |
| 67. ლიტვა | 3 | 1 | 0 | 2 |
| 68. სურინამი | 2 | 1 | 0 | 1 |
| 69. ზიმბაბვე | 1 | 1 | 0 | 0 |
| 70. ბურუნდი | 1 | 1 | 0 | 0 |
| 71. ეკვადორი | 1 | 1 | 0 | 0 |
| 72. ჰონკონგი | 1 | 1 | 0 | 0 |
| 73. ჩილე | 8 | 0 | 6 | 2 |
| 74. მონღოლეთი | 14 | 0 | 5 | 9 |
| 75. ლატვია | 7 | 0 | 5 | 2 |
| 76. ტაივანი | 5 | 0 | 3 | 2 |
| 77. კოლუმბია | 6 | 0 | 2 | 4 |
| 78. ლიბანი | 4 | 0 | 2 | 2 |
| 79. ტანზანია | 2 | 0 | 2 | 0 |
| 80. ნამიბია | 4 | 0 | 4 | 0 |
| 81. ფილიპინები | 9 | 0 | 2 | 7 |
| 82. სლოვენია | 4 | 0 | 2 | 2 |
| 83. მალაიზია | 3 | 0 | 2 | 1 |
| 84. პუერტო-რიკო | 6 | 0 | 1 | 5 |
| 85. განა | 4 | 0 | 1 | 3 |
| 86. ისრაელი | 3 | 0 | 1 | 2 |
| 87. ისლანდია | 2 | 0 | 1 | 1 |
| 88. კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 |
| 89. ჰაიტი | 2 | 0 | 1 | 1 |
| 90. მოლდოვა | 2 | 0 | 1 | 1 |
| 91. უზბეკეთი | 2 | 0 | 1 | 1 |
| 92. ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 |
| 93. ანტილის კ-ბი | 1 | 0 | 1 | 0 |
| 94. კოტ-დ'ივუარი | 1 | 0 | 1 | 0 |
| 95. ვირჯინ. კ-ბი | 1 | 0 | 1 | 0 |
| 96. სენეგალი | 1 | 0 | 1 | 0 |
| 97. სინგაპური | 1 | 0 | 1 | 0 |
| 98. შრი-ლანკა | 1 | 0 | 1 | 0 |
| 99. აზერბაიჯ. | 1 | 0 | 1 | 0 |
| 100. ტონგა | 1 | 0 | 1 | 0 |
| 101. პანამა | 2 | 0 | 0 | 2 |
| 102. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 |
| 103. ბერმუდ.კ-ბი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 104. გაიანა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 105. დომინ.რესპ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 106. ჯიბუტი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 107. ერაყი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 108. ნიგერია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 109. კატარი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 110. მოზამბიკი | 1 | 0 | 0 | 1 |

შენიშვნა: ო — ოქრო, ვ — ვერცხლი, ბ — ბრინჯაო.

*როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის შედეგებში ნაჩვენებია მხოლოდ დამოუკიდებლობის შემდეგ მოპოვებული მედლები. ისე, 1952 წლიდან მოპოვებული მედლებით, ჰელსინკიდან სიდნეიმდე (ოქრო — 31, ვერცხლი — 23, ბრინჯაო — 41) საქართველო წარმოდგენილ ნუსხაში მედლების საერთო რაოდენობით 25-ე იქნებოდა, ოქროს მედლებით — 26-ე, ვერცხლით — 27-ე, ბრინჯაოთი — 23-ე. აქვე შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური მედლები სულ მოპოვებული აქვთ 110 ქვეყნის (200-ზე მეტი ქვეყნიდან) წარმომადგენლებს, მათ შორის 13 ქვეყნისას — თითო.*

იხ. მე-2 გვ.




# ოლიმპიურ თამაშებს 10 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

## საქართველოდან სიდნეიში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს 36 სპორტსმენი სპორტის 14 სახეობაში

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს 12 სპორტსმენს. მათგან ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე სარბიელზე გამოვა მეოთხედ. იგი ჩვენი სპორტული დელეგაციის ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენელია — არის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ასევე სამგზის პრიზიორია ბატუტზე მხტომელი რუსუდან ხოფერია. ფალავნებიდან ოლიმპიური თამაშების მესამე, მსოფლიო ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორია თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე.

საქართველოს ოლიმპიელთა საშუალო ასაკია 25,4 წელი. ყველაზე ახალგაზრდაა მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატი რუსთაველი ინგა თავდიშვილი, იგი ამასთან ყველაზე მსუბუქი წონისაა — 44 კგ. ყველაზე უფროსია ტყვიის მსროლელი ნინო უჩაძე; ყველაზე მაღალია მოჭიდავე ალექსი მოდებაძე — 191 სმ; ყველაზე მძიმე — ალექსი დავითაშვილი — 125 კგ.


ვ. სანეევი


ლ. თედიაშვილი


რ. შავლაკაძე


ნ. სალუქვაძე


მ. ჯუღელი


ქ. ლოსაბერიძე

## ექღვნება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს

# 1925 75 2000

**აი დაახლოებით ის შემადგენლობა, რომელმაც 1938 წლის 14 ივლისს დაუვიწყარი მატჩი ჩაატარა მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე ადგილობრივ „ტორპედოსთან": მარცხნიდან — შოთა შავგულიძე, ალექსანდრ დოროხოვი, ბორის ფროლოვი, მიხეილ ბერძენიშვილი, არჩილ კიკნაძე, გიორგი აფრიდონიძე, გიორგი ჭუმბურიძე, ვიქტორ ბერეჟნოი, ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვლადიმერ ჯორბენაძე.**



## სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

კომუნისტების მმართველობის ეპოქაში ასე იყო: თუ ქვეყნის პირველი პირი სპორტთან მწყრალად არ იყო, გაცილებით მეტი კეთდებოდა, ვიდრე ამას სისტემა მოითხოვდა. საბედნიეროდ, საქართველოში სპორტის მოძულე პირველი მდივნები არ ყოფილან, მაგრამ, ვინც მეტით იყო დაინტერესებული, აღწევდა კიდეც. ახლა ეს ფაქტი უფრო იმიტომ გავიხსენეთ, რომ ადგილებზეც იგივე გულისხმიერებას იჩენდნენ სპორტისადმი; როგორ მაგალითსაც

იხ. მე-7 გვ.

თბილისის „დინამოს" გუნდის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალა იხილეთ მე-5 გვერდზე.

# Sydney 2000

## სპორტსმენი ჩაცმითაც იცნობა...



სიდნეიში ოლიმპიური თამაშების გახსნა-დახურვაზე და ყოველდღიურად („მიზუნოს" ნაწარმთან ერთად) საქართველოს ოფიციალური სპორტული დელეგაციის წევრებს ამ ე.წ. ცივილური სამოსით იხილავენ სიდნეიში.

საქართველოს სპორტსმენთა სააღლუმო სამოსი, მოდების ფუძემდებელთა ქალაქის პარიზის ფირმა „პიერ ბალმანმა" შეკერა, ესკიზს აქვე გთავაზობთ.

სპორტულ სარბიელზე კი ჩვენი ათლეტები სპორტული ნაწარმის ცნობილი ფირმა „რიბოკის" სამოსით იასპარეზებენ.

ატლანტიდან მოყოლებული საქართველოს სპორტული დელეგაცია, როგორც სხვა ქვეყნები, თამაშებზე ოლიმპიურ თემაზე მომზადებულ ცნობარს ავრცელებს, რომელიც ძირითადად ეძღვნება საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებს ოლიმპიურ თამაშებში, ახალ ოლიმპიელებს, ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მის კულტურას...

ისევე როგორც ატლანტისათვის, ახალი წიგნი-ცნობარი სეოკ-ის დაკვეთით გემოვნებით მოუმზადებია სეოკ-ის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს პაატა ნაცვლიშვილს. ეს ინგლისურენოვანი ფერადი გამოცემა თბილისში „ომეგას" სტამბაში დაიბეჭდა და ჩინებულ შთაბეჭდილებას სტოვებს.




## იმერული შენაკადი


რევაზ რობაქიძე

**საქართველოს სპორტსმენთა ნაკრები გუნდები მთელი ქვეყნიდან ისევე ღებულობენ შევსებას, როგორც წყალუხვი მდინარეები ნაკადულებისგან, ღელეებისგან და სხვა პატარ-პატარა მდინარეებისგან, რომლებიც მერე ერთმანეთს ერწყმის და ამგვარად გაერთიანებული მძლავრ ძალას წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ნაკრები გუნდების ერთ-ერთი ასეთი უმთავრესი შენაკადი და მასაზრდოებელი ძალა ქუთაისში და საერთოდ მთელს იმერეთშია. საქართველოს ნაკრებ გუნდებში თბილისელთა მერე იქაურთა ლომის წილი მოდის. ასე იყო წინათ და ახლაც ასეა.**

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე (1952 წ.), სადაც საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე ოლიმპიური დებიუტი შედგა, ცხადია, ქართველებიც იყვნენ, მათ შორის ქუთაისელებიც, რომლებმაც საერთო წარმატებაში თავიანთი წვლილიც შეიტანეს. მას შემდეგ უქუთაისელებოდ არც ერთი ოლიმპიური თამაშები არ ჩატარებულა. მათ მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდეს ფორუმზე 21 სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვეს.

— იმერეთის სპორტსმენთა გარეშე არც კარსმომდგარი სიდნეის ოლიმპიური თამაშები ჩაივლის, — გვეუბნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ რობაქიძე. — სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებენ ძალოსნები, საჩხერელი მსოფლიოს რეკორდსმენი გიორგი ასანიძე და ვალერი სარავა, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები, მსოფლიოს თასის მფლობელი და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა, თერჯოლელი მირიან გიორგაძე, ვინც ახალგაზრდული მსოფლიო პირველობების გამარჯვებული და პრიზიორია, ქუთაისელი ალექსანდრე ცერცვაძე. ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა აგრეთვე ტყვიის მსროლელმა ნინო უჩაძემ და ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძემ, რომლებიც ასევე ქუთაისელები არიან. მათ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზეც უასპარეზიათ. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატთა მატერიალური წახალისებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მთელს ქვეყანაში და ჩვენს მხარეშიც უმძიმესი ეკონომიკური გაჭირვებაა, მაინც მოვახერხეთ შარშან 10 ათასი ლარის გამოყოფა და ქუთაისის მერიის 2000 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიური სტიპენდიების დასანიშნი თანხის გათვალისწინება. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს საჩხერისა და სამტრედიის ადგილობრივმა გამგეობებმა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იმერეთში ბევრი რამ კეთდება ოლიმპიური მოძრაობისთვის. ამ საქმეში საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობით გამოირჩევა სეოკ-ის ოლიმპიური აკადემიის იმერეთის ფილიალი.

როცა ჩვენს მხარეზე ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა აღვნიშნოთ ქუთაისის სპორტული ლიცეუმის საქმიანობა, რომელიც 1994 წლიდან დაარსდა და მთელს ქვეყანაში ერთადერთია. უკვე 1996 წელს მიღწეული მაღალი სპორტული შედეგებისა და ოლიმპიური იდეალების ფართოდ პროპაგანდისთვის ლიცეუმი დაჯილდოვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო სიგელით.

მომდევნო წლიდან კი ეს სასწავლებელი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, მრავალმხრივი სპორტსმენისა და ჩვენს ქვეყანაში სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი პიონერის გიორგი ნიკოლაძის სახელს ატარებს. გვჯერა, რომ მის სახელს ეს ლიცეუმი არც მომავალში შეარცხვენს.

თავის მხრივ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა ფრიად აფასებს თავად რევაზ რობაქიძის მუშაობასაც. მისი მუშაობა ასევე ფრიად შეაფასა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და 1997 წელს ნომინაციაში „სპორტი ყველასათვის" იგი დაჯილდოვდა პრიზით.

იმედია, რევაზ რობაქიძისა და მისი თანამოაზრეების წყალობით იმერეთიდან ჩამომდინარე შენაკადი არც მომავალში მოაკლდება ქართული ოლიმპიური მოძრაობის მდინარეს.

*სეოკ-ის ჟურნალი „ოლიმპიელი", №2-3, 2000 წ.*


საჩხერელი გიორგი ასანიძე

## გზის დალოცვა!

ოლიმპიელებს ყველა ქვეყანაში საზეიმოდ ულოცავენ გზას, ოღონდ, განსხვავება მასშტაბშია. ამ აუცილებელი ყურადღების გარეშე არც საქართველოს ოლიმპიელები დარჩნენ. ისინი გასულ პარასკევს ჯერ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში შეიკრიბნენ, შემდეგ სეოკ-ის სპორტული დიდების მუზეუმში დადეს ფიცი, იქვე მიიღეს ამუნიცია, მერე იყო შეხვედრა და გზის დალოცვა ქვეყნის პრეზიდენტთან და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, ხოლო საღამოს, საზეიმო ვითარებაში უსურვეს წარმატება ჩვენს ოლიმპიელებს, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. საღამოს უძღვებოდა სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი.

## გაიხსნა ოლიმპიური სოფელი

2 სექტემბერს სიდნეიში შედგა ოლიმპიური სოფლის გახსნის ცერემონიალი. დასახლების აშენება 340 მილიონი აშშ დოლარი დაჯდა, იგი სიდიდით მეხუთე ქალაქია ახალი სამხრეთ უელსის შტატში. ვარაუდობენ, რომ ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებს 10 ათასი სპორტსმენი და 5 ათასი ოფიციალური პირი, რომლებიც მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნიდან ჩავლენ. მწვანე კონტინენტზე უკვე 2000 სპორტმენი ჩაფრინდა. სოფელი ოფიციალურად გახსნა უხუცესმა ავსტრალიელმა სპორტსმენმა, 93 წლის ედი პეინმა, რომელიც ჯერ კიდევ ამსტერდამში, 1928 წლის ოლიმპიადაზე გამოდიოდა.

## ნონა გაფრინდაშვილის მაგალითი სამარანჩს ეგყოვა ჭკუაში დაუჯდა

ვერ გეტყვით ოლიმპიური მოძრაობის საუკუნოვან ისტორიაში, სად და როდის იყო ქალი ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, რამდენი იყვნენ ისინი, ან იყვნენ კი ნონა გაფრინდაშვილამდე და ვერა ჩასლავსკამდე? ყოველ შემთხვევაში ერთი რამ დანამდვილებითაა ცნობილი — ქალი არასოდეს ყოფილა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტი. ეს ტრადიცია ახლა შეიძლება მას შემდეგ დაირღვეს, რაც ხუან ანტონიო სამარანჩს სოკ-ის პრეზიდენტობის ვადა სულ მალე ამოეწურება.

არ აკონკრეტებენ თუ ვის დაებადა პირველად აზრი, რომ სამარანჩი შეიძლება შეცვალოს ქალმა ამ მაღალ თანამდებობაზე. იქნებ თავად სამარანჩი სრულებითაც არ ახმოვანებს ვიღაცის აზრს, როცა აცხადებს, რომ მისი მემკვიდრე 3-5 კანდიდატიდან შეიძლება გახდეს სუსტი სქესის წარმომადგენელი — ანიტა დეფრანცია, რომელიც კარგა ხანია სოკ-ის აღმასკომის წევრია და ოლიმპიური თამაშების პრიზიორიცაა.

სამარანჩმა თავის შემცვლელად ეს ქალი შეიძლება ოფიციალურადაც გამოაცხადოს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეთ შემთხვევაში ანიტა დეფრანცია შეიძლება მიუწვდომელი გახდეს კონკურენტებისათვის. სამარანჩს ხომ თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის დიდ რეფორმატორად მიიჩნევენ და მისი აზრი ყოველთვის ანგარიშგასაწევია. ეტყობა, თავისი მოღვაწეობის 20-წლიანი ისტორია სამარანჩს სურს კიდევ ერთი შთამბეჭდავი სიახლით დააგვირგვინოს.

## ნაბრძანებია ადგილზე დახვრეტა...

ოლიმპიური თამაშები სიდნეიში არა მხოლოდ მსოფლიოს ყველაზე ღირსეულ ათლეტთა საასპარეზო იქნება, არამედ აქ პლანეტის საუკეთესო ბედაურებიც მოიყრის თავს. უფრო სწორად, ისინი უკვე სიდნეიში არიან და ამ გონიერმა ცხოველებმა პასპორტთან შესაბამისობისათვის ადამიანებზე გაცილებით მკაცრი კონტროლი გაიარეს თვით სასაზღვრო და საბაჟოს ჩათვლით.

ცხენების საჰაერო გადაყვანამ ამჯერადაც ურთულესი პრობლემები შექმნა. გარდა იმისა, რომ თვითმფრინავები „დროებით თავლად" გადაკეთდა (გადაზიდვა ითავა გერმანულმა „ლუფტჰანზამ"), სპეციალური მომზადება გაიარეს თვით პილოტებმაც, რომლებსაც ისიც შეასწავლეს თუ როგორ უნდა მოიქცნენ ექსტრემალურ სიტუაციაში, ანუ იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მერანი ზომაზე მეტად ანერვიულდება ფრენისას და საფრთხეს შეუქმნის როგორც თანამოძმეებს, ისე თვითმფრინავის ნორმალურ ფრენას. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი „გაგიჟებულ" ცხენს გამყოლი ვერ დააწყნარებს, პილოტს ნაბრძანები აქვს ასეთი ბედაური ადგილზე დახვრიტოს.

ამჯერად ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სამი სპეციალური რეისით ფრანკფურტიდან სიდნეიში ყველა ქვეყნის ცხენი უვნებლად ჩაიყვანეს, ამასთან, თითოეულის გადაყვანა 73 ათასი გერმანული მარკა დაჯდა.


სიდნეის ოლიმპიური მთავარი სტადიონი

## როგორი ამინდი იქნება სიდნეიში?

როგორც რუსული ჰიდრომეტცენტრის ცნობაშია ნათქვამი, ოლიმპიური თამაშების დღეებში სიდნეიში სასურველი ტემპერატურა იქნება, მაგრამ იქროლებს ქარი და ხშირად იწვიმებს.

სექტემბრის მეორე ნახევარში სიდნეიში ტემპერატურა იქნება 18-21 გრადუსი დღისით და 10-12 გრადუსი ღამით.

სექტემბერ-ოქტომბრის დასაწყისში ქარი არ აღემატება 4 მ/წამში, მაგრამ ოკეანის პირას, სადაც სიდნეის სტადიონია, იგი შეიძლება გაიზარდოს 10 მ/წამში. ამის საწინააღმდეგოდ ორგანიზატორებმა დააყენეს ფარები და ბრეზენტის ზღუდეები, მაგრამ შეიძლება მან ვერ უშველოს საქმეს.

### დაისვენებენ კიდეც

**— ოლიმპიური შეჯიბრება მხოლოდ სპორტისაგან კი არ შედგება, — განაცხადა სიდნეის მერმა ფრენკ სარტორმა, — არამედ აქ იმის შესაძლებლობაც იქნება, რომ დაისვენო მეგობრებთან ერთად. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველას საზეიმო განწყობილება შევუქმნათ.**

**როგორც საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, ყველა კონცერტი, რომელიც კი სიდნეიში მოეწყობა, უფასო იქნება. დაგეგმილია ყველაზე უფრო პოპულარული საესტრადო მომღერლებისა და ანსამბლების გამოსვლები.**

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

# მზადება დამთავრებულია, წინ ლიტვა და იტალიაა

**ფრაიბურგი. „დრაიზამშტადიონი". „ფრაიბურგი" — საქართველოს ეროვნული ნაკრები 2-3.**

***ფრაიბურგი:*** გოლცი, ცქიტიშვილი (შუმანი, 46), ცაიერი (ნაიტცელი, 77), ბეია, იაშვილი (სელიმი, 46), მიულერი, რამდანი (ჰიუგელი, 62), დიარა, დორნი (ზანდი,46), ბოროცინო (კობიაშვილი, 46), კულიბალი.

***საქართველო:*** გვარამაძე (ზოიძე, 46), ხიზანიშვილი (დიდავა, 46), სილაგაძე, კალაძე, თოდუა (ცქიტიშვილი, 46), მენთეშაშვილი (გოგიჩაიშვილი, 46), კობიაშვილი (სიჭინავა, 46), ნემსაძე (ჯამარაული, 46), ყველაშვლილი (შ. არველაძე, 46), ზ. ჯანაშია (ა. არველაძე, 46), დემეტრაძე (იაშვილი, 46).

***გოლები:*** 0-1 ყველაშვილი (12), 0-2 ჯანაშია (43), 0-3 შ. არველაძე (53). 1-3, 2-3 ჰიუგელი (64, 81).

***მსაჯი:*** გ. კამერერი (გერმანია).

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გენერალური რეპეტიცია ჩვენმა ნაკრებმა წარმატებით გაიარა. გარდა იმისა, რომ გუნდმა როგორც იქნა მოიგო და ერთგვარად მოიხსნა ფსიქოლოგიური სტრესი, რომელიც მას ამ ბოლო ხანებში თან სდევდა, ჩვენმა მწვრთნელებმა საქმეში ნახეს თითქმის ყველა კანდიდატი (თუ არ ჩავთვლით ქეცბაიასა და ქინქლაძეს). ***რ. ძოძუაშვილი:*** „გამოჩნდა ხარვეზებიც, რომელთა აღმოფხვრაზეც უნდა ვიმუშაოთ. წინა ამხანაგურმა თამაშებმა ბოლომდე ვერ გვიჩვენა მთელი ნაკლოვანებები, აქ კი ყველაფერი მთლიანობაში გამოჩნდა. მართალია, ლიტვა-იტალიამდე საკონტროლო შეხვედრა აღარ გვექნება, მაგრამ შეკრებებზე გუნდის საბრძოლო პოტენციალს სათანადო დონეზე ავიყვანთ."

ჩვენც, რაღა დაგვრჩენია, მოვითმინოთ და ერთი თვის შემდეგ ლიტვა-იტალიაში ჩატარებული მატჩების მიხედვით შევაფასოთ ჩვენი მწვრთნელების მიერ გაწეული მუშაობა.

# ბრიტანელებმა ილუზიები მოგვისპეს

***მიდლსბრო. „რივერსაიდის" სტადიონი. ინგლისი — საქართველო (ახალგაზრდული ნაკრები) 6-1.***

**ინგლისი:** რობინსონი, ნიუტონი (სტოკდეილი, 79), ჯ. კოული (სმიტი, 73), ქერიკი (ჰარგრეივსი, 63), იანგი (კარლაილი, 46), ბრემბლი (რაიტი, 46), გრინინგი (კემპბელი, 73), [illegible] (ჰ[illegible], 46), ვასელი (ტირუელი, 73), ჯ. კოული (პარკერი, 73), ჯეფერსი (ჩედვიკი, 63).

**საქართველო:** ლომაია (მერლანი, 46), საჯაია, ხიზანეიშვილი, წერეთელი, მუჯირი, აბრამიძე (ბურდული, 73), კვარაცხელია, დილმელაშვილი (დევიძე, 41), იმედაძე (გ. შენგელია, 46), წიტაიშვილი (გაგუა, 79), გვაზავა (ებრალიძე, 88).

***გოლები:*** 1-0 იანგი (18), 1-1 წიტაიშვილი (30). 2-1 ჯ. კოული (37), 3-1 ჯეფერსი (44), 4-1 დანი (45), 5-1 გრინინგი (61), 6-1 სმიტი (90).

***გააფრთხილეს:*** კვარაცხელია, აბრამიძე.

***მსაჯი:*** ტ. ჰაუგე (ნორვეგია).

ტყუილად გვეამაყებოდა, ეროვნული თუ არა, ახალგაზრდული ნაკრები გვყავს იმდენად ძლიერი, ნებისმიერი მეტოქისათვის ანგარიშგასაწევიაო. მართლაც, ამ მატჩამდე მურთაზ ხურცილავას შეგირდებს 13 შეხვედრაში მარცხი არ უწვნევიათ (5 მოგება, 8 ფრე). წაუგებელი სერიის გაგრძელების იმედი ახლაც გვქონდა, მაგრამ... მატჩმა ცხადჰყო, რომ სასწაული ფეხბურთში ნაკლებად ხდება — როგორ უნდა გამკლავებოდნენ „ლოკომოტივ"-„ტორპედოებში" და მისთანებში მოთამაშე ქართველი ახალგაზრდები „არსენალის", „ლიდსის", „ვესტ ჰემის", „ლივერპულის", „მანჩესტერის", „ევერტონის", „ასტონ ვილას" უკვე გამობრძმედილ ფეხბურთელებს?

მოკლედ, ამ ამხანაგურმა მატჩმა ილუზიები დაგვიმსხვრია და თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი ნამდვილი ადგილი საფეხბურთო იერარქიაში.

# სოხუმის „დინამო" საქართველოს ჩემპიონატში ჩაება

— „ჩვენი სურვილია „დინამოს" ტრადიციები აღვადგინოთ. ჯერ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ — გუნდი ბათუმის „შუქურასა" და აჭარის პირველობაზე მოასპარეზე სოხუმის „დინამოს" გაერთიანების შემდეგ შეიქმნა. ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 22 წელია. ამ ხნის განმავლობაში კლუბი აჭარის ჩემპიონი გახდა. 27 ფეხბურთელი გვყავს. ნაწილი დევნილი სოხუმელია, ნაწილი ბათუმელები არიან. წლეულს საქართველოს ჩემპიონატში რეგიონ-ლიგის დასავლეთ ზონაში ვითამაშებთ, მეტოქეებს ხელვაჩაურში ანგისის „შევარდენის" სტადიონზე ვუმასპინძლებთ. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში პირველად ვასპარეზობთ, მაგრამ შიში არავისი გვაქვს. პერსპექტივა რომ არ გვქონდეს, საქმეს არც შევეჭიდებოდით, იმ ხალხს ვემადლიერებით და მათი იმედით ვართ, ვინც აქამდე მოგვიყვანა. გვეხმარებიან აჭარის მთავრობის წევრები, ბათუმში დაფუძნებული სოხუმელები. ადამიანები, რომელთაც აფხაზეთის ფეხბურთის მომავალი აწუხებთ, აქ საკმაოა. გუნდს იმდენი ძალა აქვს, რომ ექვსეულში მოხვდეს. ზემოთქმული სოხუმის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს ვახტანგ ქაცარავას ეკუთვნის. მის ნაამბობში დაუჯერებელი არაფერია, სავსებით მოსალოდნელია ქართულ ჩემპიონატში კიდევ ერთი ორიგინალური გუნდი ვიხილოთ და მისი პერსპექტივაც შევამჩნიოთ. ფაქტია, რომ ხალხმა, ვინც კლუბის აღდგენა განიზრახა, საშვილიშვილო საქმეს მოჰკიდა ხელი. აფხაზეთის გუნდების სიმრავლე ჩემპიონატში, მათი სტატუსის მიუხედავად, მხოლოდ მისასალმებელია. ქართული ფეხბურთის მასაზრდოებელი წყარო არ დაშრება. სოხუმის „დინამო" ამის მაგალითი უნდა გახდეს. ახლა, უბრალოდ, გავეცნოთ მათ, ვინც გუნდს წინსვლისათვის ამზადებს. კლუბის პრეზიდენტია ბათუმის საგზაო პოლიციის უფროსი ნუგზარ ხალვაში, კლუბის თავმჯდომარეა გოჩა ალფენიძე, მწვრთნელი — ოთარ ქობალია, გუნდის უფროსია ოთარ აბაშიძე, კლუბს გვერდით უდგას ბათუმის პორტის უფროსი ჯამბულ ნინიძე. სოხუმის „დინამო" პირველ გამოცდას 8 ან 11 სექტემბერს ჩააბარებს საქართველოს თასის პირველი ეტაპის მატჩში.

**საბა ლომინაძე**

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## ანონსი
## უმაღლესი ლიგა
## 6 სექტემბერი

### მსაჯები. ინსპექტორები ● III ტური

**გორდა — კოლხეთი.** მთავარი მსაჯი პ. დოგრაშვილი, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მე-4 მსაჯი — ა. შალამბერიძე, ინსპექტორი — კ. ყრუაშვილი.

**მერანი — ვიტ ჯორჯია.** მთავარი მსაჯი ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები ჩოჩიშვილი, ელიკაშვილი, მე-4 მსაჯი — შილაკაძე, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

**იბერია — დილა.** მთავარი მსაჯი ს. კვარაცხელია, ასისტენტები დოლიძე, ბუიშვილი, მე-4 მსაჯი — კ.მესხი, ინსპექტორი — ბ. ქარჩაშაძე

**თსუ — ლოკომოტივი.** მთავარი მსაჯი ა. ორდინიძე, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მე-4 მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — გ. ძამუკაშვილი.

**ტორპედო — დინამო (ბთ.)** მთავარი მსაჯი მ. მალაღურაძე, ასისტენტები — სილაგავა, ბრეგვაძე, მე-4 მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

**სიონი — დინამო (თბ).** მთავარი მსაჯი დ. სანაია, ასისტენტები სამხარაძე, ცირდავა, მე-4 მსაჯი — მაისურაძე, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

### პირველი ლიგა ● II ტური

**3 სექტემბერი:** თორი — ცხინვალი 3-4; მეტალურგი — შუქურა 1-0; თბილისი — სამგურალი 1-0.

**6 სექტემბერს** მილანი (წ) — კოლხეთი (ხ). — მთავარი მსაჯი კრიჭაშვილი, ასისტენტები — ი. შალამბერიძე, კ. თბილელი, მე-4 მსაჯი — ურუშაძე, ინსპექტორი — ჯ. თანანაშვილი.

ლოკომოტივი — გურია — დინამო (ზ) — მთავარი მსაჯი ა. მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მე-4 მსაჯი — ჯვარიძე, ინსპექტორი — ა. გრეკოვი.

ასკ — ოკეანე — მთავარი მსაჯი რაზმაძე, ასისტენტები — მარლიშვილი, აფციაური, მე-4 მსაჯი — ხეცაძე, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.

მსაჯთა წილიყრას ესწრებოდნენ ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები, კლუბების წარმომადგენლები და მთავარი მწვრთნელები.

# დაბრუნება

**ალბათ ბუნების კანონია, სადაც უნდა იყო, როგორც უნდა იყო, ბოლოს, ადამიანი საკუთარ მიწას, სამშობლოს უბრუნდება. ქართველ მსაჯთა კორპუსი ერთი გამოცდილი მსაჯით შეივსო. რუსეთში მოღვაწეობის შემდეგ *ვლადიმერ ელოევი* საქართველოში დაბრუნდა. ახლა სწორედ მას წარმოგიდგენთ.**

● ***გთხოვთ გაეცნოთ მკითხველს...***

— დავიბადე 1961 წელს, ლენინგორის რაიონში, სოფ. ორჭოსანში. ფეხბურთით ჩემი დაინტერესება ადრეულ ასაკში დაიწყო. 1976 წელს ვვარჯიშობდი ავაზას საფეხბურთო სკოლაში დოდიკ ხუნდაძესთან. მერე ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში გადავედი ვლადიმერ ელოშვილთან, იქ 1979 წლამდე ვიყავი, ჯარში გაწვევამდე. სამხედრო სამსახური სპორტკლუბში ჩეხოსლოვაკიაში მომიწია. 1982 წელს ჩავაბარე ლენინგრადის უნივერსიტეტში, სამთო სპეციალობაზე და იმავე წელს დავიწყე მსაჯობა.



● ***პროფესიასაც მივადექით, როგორ წარიმართა შენი სამსაჯო კარიერა?***

— ბანალურია, მაგრამ ასეა, დიდი ფეხბური არ მითამაშია, თუმცა, უფეხბურთოდ მაინც ვერ გავძელი და სტუდენტობის წლებში მსაჯობას შევუდექი. ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა რანგის 250-მდე შეხვედრა მექნება ნამსაჯი, როგორც მთავარ არბიტრად, ისე თანამსაჯად. 1988 წლამდე ვმსაჯობდი ქალაქ ლენინგრადისა და სსრკ-ის იუნიორთა ჩემპიონატებს, 89 წლიდან სსრკ-ისა და II ლიგის მატჩებს ვემსახურებოდი.

● ***შთამბეჭდავი ციფრი დაასახელე, მათ შორის ბევრია გამორჩეული შეხვედრა?***

— 1998 წლის როტორი — ცსკა-ს მატჩს გავიხსენებ რუსეთის თასის მეოთხედფინალში. ამ შეხვედრაში თანამსაჯი ვიყავი, როგორც მთავარმა არბიტრმა ვიმსაჯე „ყუბანი" — სტავროპოლის „დინამოს" მატჩი, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო მოგონებად დამრჩა „ზენიტი-2"-სა და „სპარტაკი-2"-ის მატჩი. აქ რუსეთის უმაღლეს ლიგაში დღეს მოასპარეზე ფეხბურთელები თამაშობდნენ, მათ საზღვარგარეთაც გაითქვეს სახელი. მამედოვი, პანოვი, პისარევი. კარგი თამაში იყო. საქართველოში, სულ 13 თამაში ვიმსაჯე, პირველი შეხვედრა თსუ — „გურიას" მატჩი იყო. 1998 წელს ისევ რუსეთში დავბრუნდი და ივლისის ბოლომდე იქ ვიყავი.

● ***საქართველოში შენი დაბრუნება რამ განაპირობა?***

— ძირითადად მაინც ოჯახურმა პირობებმა, მათთან ახლოს ვიქნები. რუსეთიდან საერთოდ წამოვედი. დედა საქართველოშია, სოფელში ცხოვრობს, ოჯახი — ცოლი და ორი ვაჟი ვლადიკავკაზში არიან. რუსეთში დარჩენა პროფესიული თვალსაზრისითაც არ მაძლევდა ხელს. იქაურ უმაღლეს და პირველ ლიგას კიდევ არა უშავს, მეორე ლიგა კი, ვთვლი, რომ ჩემთვის დაბალი დონეა, საქართველოში მირჩევნია. ჩავაბარე ფიზმომზადების და თეორიული ტესტები. რეგიონული ლიგით დავიწყებ. მერე ალბათ უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩების მომსახურებაც მომიწევს. შეჩვევა არ გამიჭირდება, ქართულ სამსაჯო ატმოსფეროს კარგად ვიცნობ, მეც მათი წარმომადგენელი ვარ.

● ***გეტყობა საკუთარი თავის ჯერა...***

— ფაქტობრივად, 20 წლის მსაჯობამ გარკვეული გამოცდილება შემძინა. როგორც ფეხბურთელი, ისე მსაჯიც ყოველთვის ფორმაში და მზად უნდა იყოს. პროფესიონალი ვარ და ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი. მინდა საბოლოოდ საქართველოში დავრჩე და კარიერაც აქ გავაგრძელო. წინ ჯერ მსაჯობის შვიდი წელი მაქვს. მწამს, რომ მსაჯთა კორპუსის ღირსეული წევრი ვიქნები.

**საბა ლომინაძე**

## წიგნის თარო

# ფოტორეპორტიორი — მემატიანე

ასე შეიძლება თამამად ეწოდოს თბილისის „დინამოს" სტადიონის ერთ-ერთ უძველეს მუშაკს, ცნობილ ფოტორეპორტიორს კონსტანტინე შანიძეს, რომელმაც 80 წელიწადს გადააბიჯა.

თავადაც ძველ ფეხბურთელს და ტყავის ბურთის დიდ მოყვარულს, რომელიც თავისი პირველი სამოყვარულო ფოტოკამერით ჯერ კიდევ 1937 წელს იღებდა ჩვენს სტადიონზე ლეგენდარული ბასკების თამაშს, ამ ხნის განმავლობაში ათასობით სპორტული ფოტოსურათი დაუგროვდა. ისინი ძირითადად ფეხბურთს ეხება. ასე რომ, კონსტანტინე შანიძეს საშინაო არქივი, შეიძლება ითქვას, დიდი ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ მატიანეს წარმოადგენს — ვის არ ნახავთ აქ: შოთა შავგულიძესა და ალექსანდრე დოროხოვს, ბორის პაიჭაძესა და გაიოზ ჯეჯელავას, მიხეილ ბერძენიშვილსა და გრიგოლ გაგუას, ისიდრო ლანგარასა და ლეონარდო სილაურენს, სანდრინო მაცოლასა და ჟიუსტ ფონტენს, ტადეუშ სიზოვსკის და კევინ კიგანს, ფრანც ბეკენბაუერსა და ბობი მურს, დერეკ კევანსა და ვლოდზიმეჟ ლიუბანსკის.

მართლაც ბევრჯერ გვინახავს ეს უხუცესი, ენერგიული ფოტორეპორტიორი თავისი განუყრელი კამერით საფეხბურთო კარის სიახლოვეს.

ამას წინათ ფეხბურთის მოყვარულები კვლავ შეხვდნენ მას და მის ნამუშევრებს... თავისი წიგნის ფურცლებზე. ამ საინტერესო კრებულის ავტორმა ახალი საჩუქარი შემოგვთავაზა „ღვაწლმოსილი ფოტომემატიანე". შეგახსენებთ, რომ დ. ლოლაძეს, (იგი პროფესიით ფილოლოგი და იურისტი, ამასთან, კარგი მუსიკოსიცაა), მარტო ფეხბურთზე 14 წიგნი აქვს გამოშვებული.



ღვაწლმოსილი ფოტომემატიანე

ახალი გამოცემა კვლავ გამოირჩევა ინტერესით, მასალის სიუხვით, იშვიათი ილუსტრაციებით, მათ შორის შარჟებით. ახლა დ. ლოლაძე გამოსაცემად ამზადებს ახალ წიგნს ტაშკენტის „ოქროს მატჩის" ერთ-ერთ გმირ ილია დათუნაშვილზე.

ავტორს ამჯერადაც დიდი დახმარება გაუწია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ, ამ სასწავლებლის გამომცემლობისა და სტამბის დირექტორმა ალექსანდრე გრიგალაშვილმა.

**ოთარ ნოზაძე**

## მოყვარულ ფეხბურთელთა საკონტროლო მატჩები

უეფას რეგიონთა თასის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების პროგრამით კახეთის რეგიონის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი ორ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. 5 სექტემბერს 5 საათზე „სუკონკის" სტადიონზე ლოკომოტივ 2-ს, ხოლო 7 სექტემბერს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის დინამოს ასევე 5 საათზე ეთამაშება.

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## ევროპა

### პირველი ჯგუფი

**შვეიცარია — რუსეთი 0-1**
ბესჩასტნიხი (74).
**ფარერები — სლოვენია 2-2**
0-1 უდოვიჩი (25), 0-2 ოსტერცი (85), 1-2 არგე (87), 2-2 ჰასენი (90).
**ლუქსემბურგი — იუგოსლავია 0-2**
მილოშევიჩი (4), იოკანოვიჩი (26).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ფარერები | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ლუქსემბურ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### მეორე ჯგუფი

**ანდორა — კვიპროსი 2-3**
0-1 კონსტანტინიუ (25, პენ.), 1-1 გონსალესი (45), 2-1 ლიმა (51), 2-2 აგათაკლეოსი (77), 2-3 კონსტანტინიუ (90).
**ჰოლანდია — ირლანდია 2-2**
0-1 რობი კინი (21), 0-2 მაკატეირი (65), 1-2 ტალანი (76), 2-2 ვან ბრონხორსტი (84).
**ესტონეთი — პორტუგალია 1-3**
0-1 კოშტა (14), 0-2 ფიგუ (49), 0-3 სა პინტუ (57), 1-3 ოპერი (84).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| კვიპროსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

### მესამე ჯგუფი

**ბულგარეთი — ჩეხეთი 0-1**
პობორსკი (73, პენ.)
**ჩრდ. ირლანდია — მალტა 1-0**
გრეი (70).
**ისლანდია — დანია 1-2**
1-0 სვერსონი (12), 1-1 ტომასონი (26), 1-2 ბოსგაარდი (49).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ჩრდ. ირლან. | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ისლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

### მეოთხე ჯგუფი

**აზერბაიჯანი — შვედეთი 0-1**
სვენსონი (10)
**თურქეთი — მოლდოვა 2-0**
ოკანი (45), ემრე (70).
**სლოვაკეთი — მაკედონია 2-0**
ლაზარევსკი (3, საკ. კარში), დემო (74).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| მაკედონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### მეხუთე ჯგუფი

**ბელარუსი — უელსი 2-1**
1-0 ხაცკევიჩი (39), 2-0 ბელკევიჩი (56), 2-1 სპიდი (90).
**ნორვეგია — სომხეთი 0-0**
**უკრაინა — პოლონეთი 1-3**
0-1 ოლისაბედე (3), 1-1 შევჩენკო (13), 1-2 ოლისაბედე (33), 1-3 კალუჟნი (57).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-0 | 1 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

### მეექვსე ჯგუფი

**ლატვია — შოტლანდია 0-1**
მაკენი (89).
**ბელგია — ხორვატია (0-0).**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ბელგია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| სან-მარინო | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

### მეშვიდე ჯგუფი

**ბოსნია — ესპანეთი 1-2**
0-1 ხერარდი (39), 1-1 ბალიჩი (41), 1-2 ეჩებერია (72).
**ისრაელი — ლიხტენშტეინი 2-0**
მიზრაჰი (1), ბალილი (79).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| ლიხტენშტ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ავსტრია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

### მერვე ჯგუფი

**რუმინეთი — ლიტვა 1-0.**
განეა (89).
*რუმინეთი:* სტელა, პეტრესკუ, ჩიბოტარიუ (მუტუ, 49), ფილიპესკუ, კონტრა (პეტრე, 58), ბელოდედიჩი, ვლადოიუ. დ. მუნტეანუ, მოლდოვანი, კ. მუნტეანუ, ჩივუ.
*ლიტვა:* პადიმანსკასი, სკრელა, ქვირგჟდაუსკასი, გლევეცკასი, ქუტაუტასი, დანილევიჩუსი, სემბერასი, კანჩელსკისი, პრეიკშაიტისი (ბუიტკუსი, 46), მაცულევიჩუსი (მიკალიუნასი, 46), ფომენკა (რაძიუსი, 80).

**უნგრეთი — იტალია 2-2**
0-1 ინძაგი (26), 1-1 ხორვატი (29), 1-2 ინძაგი (35), 2-2 ხორვატი (78).
*უნგრეთი:* კირალი, შებოკი, მატიუში (პეტო, 46), კორსოში, ფეჰერი, ჰალმაი, ჰამარი (ლენდვაი, 89), ლისტეში, ილეში, ხორვატი, ტოკოლი (დომბი, 75).
*იტალია:* ტოლდო, კანავარო, ნესტა, იულიანო, ძამბროტა, ფიორე, (გატუზო, 80), ალბერტინი, მალდინი, ტოტი, ფ. ინძაგი, დელ პიერო (დელ ვეკიო, 73).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

### მეცხრე ჯგუფი

**ფინეთი — ალბანეთი 2-1**
1-0 ლიტმანენი (45), 1-1 მურატი (63), 2-1 რიიჰილაჰტი (67).
**გერმანია — საბერძნეთი 2-0**
დაისლერი (17), 2-0 უზუნიდისი (75, საკ. კარში).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ფინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ინგლისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

## სამხრეთ ამერიკა

**პარაგვაი — ვენესუელა 3-0**
გონსალესი (30), კარდოსო (35), პარედესი (44).
**ჩილე — კოლუმბია 0-1**
კასტილიო (66).
**ბრაზილია — ბოლივია 5-0**
რომარიო (12, პენ., 79, 81), რივალდო (47), სანდი (89, საკ. კარში.
**ურუგვაი — ეკვადორი 4-0**
მაგალიანესი (15), დარიო სილვა (37), ოლივერა (55), კერდესი (87).
**პერუ — არგენტინა 1-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 8 | 6 | 1 | 1 | 18-7 | 19 |
| კოლუმბია | 8 | 4 | 3 | 1 | 8-4 | 15 |
| ურუგვაი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-5 | 14 |
| ბრაზილია | 8 | 4 | 2 | 2 | 14-9 | 14 |
| პარაგვაი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 14 |
| ჩილე | 8 | 3 | 1 | 4 | 11-10 | 10 |
| ეკვადორი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| პერუ | 8 | 2 | 2 | 4 | 6-7 | 8 |
| ბოლივია | 8 | 1 | 2 | 5 | 4-14 | 5 |
| ვენესუელა | 8 | 1 | 0 | 7 | 5-20 | 3 |


რომარიო

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## გარდაქმნები „რეალში“

ახალი სეზონიდან, რომელიც ამ დღეებში დაიწყება, მადრიდის „რეალი“ საფუძვლიანად, ზოგი კომენტატორის სიტყვით კი, თავდაყირა, შეცვლილი შემადგენლობით წარსდგება.

ლუიშ ფიგუს მიწვევამ, რედონდოს „მილანში“ გადასვლამ, კლუბის ხელმძღვანელობის სურვილმა გამოეთხოვოს მაკმანამანს, ძირითად შემადგენლობაში გადაადგილებები გამოიწვია. კიდევ ერთი ცვლილებაა ძირითადი შემადგენლობიდან მიჩელ სალგადოს გამოყვანა, რომელიც მცველის პოსტზე კამერუნელმა ჟერემიმ შეცვალა. სალგადო „რეალის“ ექს-პრეზიდენტ ლორენსო სანსის სიძეა. შეიძლება ფეხბურთელის „დაქვეითება“ სწორედ ამ გარემოებით იყოს გამოწვეული. მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს სალგადოსათვის არაფერი განუმარტავს — „ამას არ მოველოდი და ძალიან მიკვირს“ — ამბობს სალგადო. მისი აზრით, ახალი ტაქტიკური სქემების თანახმად, მწვრთნელი განაპირა მცველებისაგან, მათ შორის რობერტო კარლოსისაგან, ისე აქტიურად შეტევაში ჩაბმას უკვე აღარ მოითხოვს.

ესპანელი კომენტატორები ყურადღებას აქცევენ ლუიშ ფიგუს განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი საკუთარ თავს „რეალის“ ლიდერის როლში ხედავს. აქამდე ასეთებად რაული და ფერნანდო იერო ითვლებოდნენ.

დელ ბოსკე თვლის, რომ საჭიროა თავდასხმის გაძლიერება. რაულსა და მორიენტესს რომელიმე ცნობილი თავდამსხმელიც უნდა ამოუდგეს მხარში. რიკარდუ სა პინტუსთან ერთად ასახელებენ ოლივერ ბირჰოფსაც, თუმცა „მილანის“ თავდამსხმელი აცხადებს (მისი საბაზრო ღირებულება 13 მილიონი დოლარია), რომ მისთვის ოფიციალურად არავის მიუმართავს.

## ცდილობენ მოუარონ ხულიგნებს

ინგლისში ძალაში შევიდა ხულიგნებთან ბრძოლის ახალი კანონი. ახლა პოლიციელები მათი ალკვეთის გაცილებით უფრო მეტ უფლებებს მიიღებენ.

ამ კანონის ძალით, რომელიც ინგლისის პარლამენტმა მიიღო, კანონის დამცველებს შეუძლიათ ნებისმიერ ადამიანს არ მისცენ უცხოეთში გამგზავრების უფლება, თუკი დარწმუნებული არიან, რომ იგი ფეხბურთის საყურებლად კი არ მიდის, არამედ ვიტრინების ჩასამტვრევად. მატჩამდე 5 დღით ადრე მას პასპორტს ჩამოართმევენ, ხოლო თუ დამტკიცდება, რომ იგი საერთოდ არასაიმედოა, მაშინ უკვე 10 წლით აუკრძალავენ უცხოეთში გამგზავრებას.

ამ კანონის წინაალმდეგ კარგა ხანია გამოდიოდა ადამიანის უფლებათა დამცველი სხვადასხვა ორგანიზაცია.

## მაკარტი ყველას სურს?

ვიგის „სელტას“ სამხრეთაფრიკელი ლეგიონერი ბენედიქტ მაკარტი ახლა რამდენიმე კლუბის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

როგორც ბირმინგემის „ასტონ ვილას“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა, იგი სიამოვნებით შეიძენდა ამ თავდამსხმელს. ასეთივე სურვილი „ჩელსის“ მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმაც გამოთქვა.

## „მანჩესტერ იუნაიტედს“ კემპბელი სურს

როგორც ინგლისელი ექსპერტები თვლიდნენ, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსის“ და ეროვნული ნაკრების მცველი სოლ კემპბელი მსოფლიო კლასის ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო. ეს აზრი ჯერჯერობით არ მართლდება, მაგრამ ამის მიუხედავად, შავკანიან ცენტრალურ მცველს მაინც ბევრი ქომაგი ჰყავს.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა თვლის, რომ მის გუნდში სწორედ ეს ადგილია სუსტი. ამიტომაც „ტოტენჰემ ჰოტსპურსს“ 14 მილიონი დოლარი დაუფასა, მით უმეტეს, რომ თვით სოლ კემპბელსაც სურს გუნდის დატოვება.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მალდინი ძოფს დაეწია

3 სექტემბერს უნგრეთ-იტალიის მატჩში ღირსსახსოვარი რამ მოხდა — მცველმა *პაოლო მალდინიმ* 112-ე მატჩი ითამაშა „სკუადრა აძურაში“ და ამ მაჩვენებლით გაუტოლდა ლეგენდარულ დინო ძოფს. მალდინის დებიუტი ნაკრებში 1988 წელს შედგა. 12 წლის განმავლობაში მან „მოინელა“ ისეთი მწვრთნელები, როგორიცაა არიგო საკი, ჩეზარე მალდინი, დინო ძოფი. „იმედი მაქვს, — განაცხადა ფეხბურთელმა, — ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობით წარმატებით ვითამაშებთ მომავალ მუნდიალზე და ფეხბურთიდან სახელოვნად წავალთ: მე, როგორც მსოფლიო ჩემპიონი და სინიორი ჯოვანი, როგორც ჩემპიონების დამრიგებელი“.

მალდინი



## ბატი-გოლი უქეიფოდაა

დიახ, არგენტინის ნაკრებისა და იტალიური „რომას“ მრისხანე თავდამსხმელი ***გაბრიელ ბატისტუტა*** ცუდ ხასიათზეა — ვაითუ მუხლის ტრავმამ ხელი შეუშალოს მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში და სერია „A“-ს სასტარტო შეხვედრებში. ექიმები კი ამშვიდებენ. „ტრავმა სერიოზული არაა. მუხლის ოპერაცია არ დაგჭირდება“ — უთხრა არგენტინის ნაკრების ექიმმა დონატო ვილანიმ.

## მოსკოველი ფანებიც გადაირივნენ...

შვეიცარია-რუსეთის საფეხბურთო ნაკრებების მატჩს მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე მოწყობილ დიდ ტელეეკრანზე ადევნებდა თვალს 10 ათასი გულშემატკივარი. მეორე ტაიმის ბოლოს ტრიბუნებისკენ ვიღაცამ მაშხალები ისროლა. საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერთო სპეცდანიშნულების რაზმი. ტრიბუნებზე ხელჩართულ ბრძოლაში გულშემატკივრებმა პლასტმასის სკამებიც მოიშველიეს. ერთი პოლიციელი ფეხის მოტეხილობით აღმოჩნდა საავადმყოფოში. პოლიციამ 10 გულშემატკივარი დააკავა.

## როცა ბედი არა გწყალობს

ავსტრალიის ნაკრებისა და „მიდლსბროს“ ნახევარმცველმა პოლ ოკონმა „მიდლსბროსა“ და „ლიდს იუნაიტედის“ მატჩში ტერფის სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც იძულებული იქნება ეს ოლიმპიადა გამოტოვოს.

## ეტყობა, მეტი გზა არ არის

ევროპის ჩემპიონატში მარცხის შემდეგ ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი არაერთხელ აცხადებდა, რომ მისმა ვეტერანმა მეკარეებმა სიმენმა და მარტინმა სუსტად ითამაშეს და ნამდვილად აღარ ღირდა მათი გუნდში მიწვევა. თითქოს გზა ახალგაზრდა მეკარეებს უნდა გახსნოდათ, მაგრამ საქმე ასე მარტივად არა ყოფილა.

ახლა, როცა კიგანმა ნაკრების გდახალისება დაიწყო, ძირითად მეკარედ კვლავ მიწვეულია... ნაიჯელ მარტინი!

ეძღვნება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს

1925 75 2000

# III. „დაუვიწყარი წუთები“

**1939 წლის 14 ივლისი**

**«ტორპედო» მოსკოვი — «დინამო» თბილისი — 3–3 (3–3).**

**„ტორპედო“:** ვინოგრადოვი, პოლიაკოვი, ორლოვი, მასლოვი, კოჩეტკოვი, ერშოვი, კარიჩევი, რიაზანცევი, სინიაკოვი, პეტროვი, სვირიდოვი.

**„დინამო“:** დოროხოვი, შავგულიძე (ქუმბურიძე), ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

*მსაჯი:* ნიკოლაი უსოვი (ლენინგრადი)

ასე დაასათაურა ომამდელი პერიოდის ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა და ჟურნალისტმა მიხაილ რომმა თავისი ანგარიში — რეცენზია ჟურნალ „სმენაში“. მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ იმ მართლაც დაუვიწყარი მატჩის შესახებ, რომელიც მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა 1938 წლის ზაფხულში (ეს შეხვედრა გადმოტანილი იყო ივნისის კალენდრიდან), მაგრამ გადაიდო ტორპედოელთა საფრანგეთში ვიზიტის გამო.

აი როგორ იწყებოდა მ. რომმის წერილი: „გამოვიდნენ თუ არა მინდორზე, ფეხბურთელებმა მაშინვე იგრძნეს რაღაც ძლიერი „დენი“, რომელიც გადაჭედილი ტრიბუნებიდან მოდიოდა. ასეთ დღეებში ცუდად არ თამაშობენ. ასეთ დღეებში საშუალო მოთამაშეებიც კი პოულობენ საკუთარ თავში ძალების, ოსტატობისა და გამარჯვების რწმენის მოულოდნელ მარაგს“.

...მატჩის პირველივე წუთიდანვე, როდესაც პაიჭაძემ ბურთი შეიყვანა თამაშში, მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. იერიშის ტალღა მიასკდა ტორპედოელთა კარს, მაგრამ მერე უკვე მოსკოველები გადმოვიდნენ შეტევაზე. ასპარეზობას მძაფრი, საინტერესო პირი უჩანდა. ასეც მოხდა, თუმცა თავიდანვე ვიტყვით, რომ ეს თამაში, ასე ვთქვათ, ორი... სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებული ტაიმისაგან შედგებოდა: პირველი ნახევარი [illegible] „დინამომ“, აი მისი [illegible] და რამდენადმე მეორე ნახევარი „ტორპედომ“. ავტოქარხნელები ახალი ჩამოსული იყვნენ საფრანგეთიდან, სადაც საერთაშორისო მუშათა გუნდების ტურნირზე მოიპოვეს საპატიო თასი. თბილისელთა დაცვამ მოიგერია „ტორპედოს“ პირველი შეტევა და ჩვენი გუნდის კაპიტანმა შოთა შავგულიძემ მოხდენილად აართვა ბურთი მოსკოველთა მარცხენა შუამარბს პეტროვს, წინ გაგზავნა იგი, ბურთს დაეუფლა მ. ბერძენიშვილი, „გაუჭრა“ ტანდაბალ, ციბრუტივით სწრაფ და მოქნილ მარჯვენა გარემარბს გაიოზ ჯეჯელავას. ეს უკანასკნელი მშვენივრად გავიდა კართან და მკვეთრი დარტყმით დაბალი ბურთი გაგზავნა ტორპედოელთა კარის ბადეში. გავიდა სულ რაღაც 2 წუთი და თბილისელთა ფარზე მოწყენილი „ნოლიანი“ მეტყველმა „ერთიანმა“ შეცვალა — 1-0.

ახლა უკვე მწვავე შეტევები მიჰქონდათ მოსკოველებს ჩვენს საჯარიმოსაკენ. აღსანიშნავი ის იყო, რომ ეს შეტევები ძირითადად ხორციელდებოდა მასპინძელთა სამი თავდამსხმელის — ორი გარემარბის — კარიჩევისა და სვირიდოვის, აგრეთვე ცენტრფორვარდ სინიაკოვის მიერ. საქმე ისაა, რომ საბჭოთა გუნდებიდან პირველმა სწორედ მოსკოვის „ტორპედომ“ აითვისა ახალი, იმხანად მოდური, ინგლისური სისტემა „დუბლ-ვე“, რომელიც ჩვენში სახელოვანმა ბასკმა ფეხბურთელებმა შემოიტანეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოვის ნაკრებს — „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ფეხბურთელებს — საშუალება ჰქონდათ ამ ახალ სისტემას ბასკების ვიზიტამდე ერთი წლით ადრე გასცნობოდნენ, როდესაც ისინი პარიზში შეხვდნენ ადგილობრივი „რესინგის“ სახელგანთქმულ გუნდს. მაშინ, ეს ნოვატორული სათამაშო სისტემა რატომღაც საბჭოთა ფეხბურთელებისათვის გაუგებარი და აუთვისებელი დარჩა, აი ბასკების ჩამოსვლის შემდეგ კი პირველმა სწორედ მოსკოვის „ტორპედოს“ მწვრთნელმა სერგეი ბუხტეევმა გადმოიღო იგი და თავისი გუნდი შეაიარაღა ცნობილი ინგლისური პროფესიონალური საფეხბურთო კლუბის „არსენალის“ მიერ შექმნილი „ბასრი იარაღით“. ს. ბუხტეევი საკმაოდ ფლობდა ინგლისურ ენას და რეგულარულად ადევნებდა თვალს უცხოეთიდან შემოტანილ სპეციალურ ლიტერატურას. ცნობილია, რომ ამ სქემით ერთ ხაზზე განლაგებული 5 თავდამსხმელი, ფაქტობრივად, ორ ხაზს ქმნის — წინ სამი ფორვარდი რჩება, ინსაიდები (შუამარბები) კი უკან იხევენ და შეტევის მეორე ხაზს წარმოადგენენ. თავის მხრივ, რათა მოედნის ცენტრში ამის გამო არ შეიქმნას „ხალხმრავლობა“, ნახევარდაცვის ცენტრი უკან იხევს და განაპირა ბეკებთან (მცველებთან) ერთად დაცვის გაძლიერებულ ხაზს ქმნის. აქვე იმასაც დავძენთ, რომ „ტორპედომ“ ცოტათი გადააკეთა კლასიკური „დუბლ-ვე“, მისცა მას, ასე ვთქვათ, „შერბილებული“ სახე, რომლითაც ცენტრალური ნახევარმცველი ძველებურად წინ თამაშობდა.

სწორედ ამ „საიდუმლო“ იარაღის წყალობით სძლია „ტორპედომ“ წინა სეზონში მოსკოვის „სპარტაკს“ (3-2), „მეტალურგს“ (1-0) და გამანადგურებელი ანგარიშით 5-1 მოუგო კიევის „დინამოს“. ავტოქარხნელთა მეტოქეებმა მაშინ ვერაფერი გააწყვეს ახალ სისტემასთან.

დღეს, ცხადია, „დუბლ-ვეს“ არავინ თამაშობს თანამედროვე ბრაზილიური თუ სხვათა მიერ შეთავაზებული ბევრად უფრო რაციონალური სისტემების შემოღების გამო. აი მაშინ კი... ინსაიდები კონსტანტინ რიაზანცევი (მოგვიანებით იგი მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა) და პიოტრ პეტროვი საკუთარ თავზე იღებდნენ ტორპედოელთა მთელ თამაშს, განსაკუთრებით შეტევის დროს, მოედნის სიღრმეში იტყუებდნენ მეტოქის მცველებს და მერე უეცრად ბურთს აგზავნიდნენ წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ცენტრალურ თავდამსხმელ სინიაკოვსა და გარემარბებთან კარიჩევთან (მან ბათუმის ფეხბურთში აიდგა ფეხი, მერე ბათუმელ დინამოელებს ავარჯიშებდა) და სვირიდოვთან. თავის მხრივ ისინიც, ბურთის ზუსტად მიღების შემთხვევაში, სწრაფად გადიოდნენ საწინააღმდეგო კართან, რითაც გოლის გატანის ხელსაყრელ შესაძლებლობას ქმნიდნენ. როგორც წესი, ისინი მოკლე პასით ცდილობდნენ თამაშის წარმართვას და რამდენჯერმე გავიდნენ ჩვენს კართან, აი დარტყმა კი საკმაოდ უზუსტო ჰქონდათ. ერთი სიტყვით, კარგად დაწყებულ კომბინაციას ვერ აგვირგვინებდნენ.

სულ სხვაგვარად თამაშობდნენ თბილისელები. ჩვენი თავდასხმის ხუთეული ძველებურად მოქმედებდა — ალმართული ცოცხალი კედელივით მიიწევდა წინ. უკან ფორვარდებს ნახევარმცველთა სამეული მიჰყვებოდა, ზურგს უმაგრებდა, რითაც იერიშის მეორე ტალღას ქმნიდა. ყოველივე ამას თავიდან წარმატება მოჰქონდა, მით უფრო, რომ თბილისელთა შემადგენლობა აშკარად ძლიერი იყო „ტორპედოსაზე“. და აკი დაჯაბნეს კიდეც ჩვენმა ფეხბურთელებმა მოსკოველები პირველ ტაიმში.

ამით არ დასრულებულა თბილისელთა წარმატება. ახლა ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბორის პაიჭაძემ, ასე ვთქვათ, „ჰაერიდან ჩამოღებული“ ბურთი ძალზე ლამაზი დარტყმით გაახვია მეტოქის კარში — 2-0.

გაირკვა, რომ თბილისელთა ახალი მოთამაშე, მარჯვენა გარემარბი გაიოზ ჯეჯელავა (იგი თბილისის „ლოკომოტივიდან“ გადმოვიდა), რომელიც სულ მეორე სეზონი თამაშობდა დინამოელთა გუნდში, საკმაოდ იოლად „ატყუებს“ მოსკოველთა მარცხენა მცველს ორლოვს — ტანმაღალ, საკმაოდ ნელსა და გამოუცდელ ფეხბურთელს. აი ახლაც, ჯეჯელავამ ოსტატურად შემოუარა თავის მეურვეს, სწრაფად მოიტოვა იგი უკან და ზუსტი დარტყმით მეორე ბურთი გაგზავნა „ტორპედოს“ კარში — 3-0.

ტაიმის დამთავრებამდე 12 წუთი რჩებოდა. ახლა უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ტორპედოელები თბილისელებთან ისევ წააგებდნენ მატჩს. საქმე ის არის რომ მოსკოველებს ცოტა ადრე დამარცხება აგემა „ა“ ჯგუფის დებიუტანტმა თბილისის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდულმა გუნდმა (5-3). ამ სკანდალურ შეხვედრაში ბაქოელმა არბიტრმა პ.ფარსადანოვმა „ტორპედოს“ კარში 2 პენალტი დანიშნა და მისი 3 მოთამაშე გააძევა მინდვრიდან. დინამოელ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ალექსეი სოკოლოვი აშკარად „უგებდა დუელს“ თავის მოსკოველ კოლეგას. ტორპედოელთა ხელმძღვანელს, უნდა ვიფიქროთ, უკვე ეჭვიც ეპარებოდა თავისი არჩევანის სისწორეში. ეგებ ეს „დუბლ-ვე“ არც ისეთი სახარბიელო და „მომგებიანია“?! დამარცხების შემთხვევაში ტორპედოელი ფეხბურთელები, ალბათ, დაკარგავენ რწმენას თავიანთ ძალებში, იქნებ აუჯანყდნენ კიდეც მწვრთნელს ამგვარი ნოვატორობისათვის...

„დინამო“ სენსაციურ გამარჯვებას აღწევდა. ჩვენს ბიჭებს კარგად ესმოდათ, რომ შესვენებამდე დარჩენილ წუთებში მეტოქე თუ ბურთს ვერ გაგვიტანდა, მეორე ტაიმში უკვე არაფერი შეიცვლებოდა — „ტორპედო“ დემორალიზებული იქნებოდა და უბრძოლველად დაგვნებდებოდა. ცხადია, ამასვე ფიქრობდნენ მოსკოველებიც, რომლებიც „ვა-ბანკზე“ წავიდნენ. აქვე მათ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ რიაზანცევმა ძელს მოახვედრა ბურთი. ახლა მათ მთელი იმედი ცენტრალურ თავდამსხმელზე, ტარანის ტიპის ფორვარდზე, ნიჭიერ ა. სინიაკოვზე გადაიტანეს. ცხადია, თბილისელები მჭიდროდ იჭერდნენ მას, რისთვისაც ბორის ფროლოვი „მიუჩინეს“. 37-ე წუთზე მოსკოველი მოედნის სიღრმეში დაეუფლა ბურთს, შეამჩნია საკმაოდ წინ წაწეული პეტროვი და ზუსტად მიაწოდა მას ბურთი. უკანასკნელი ჩვენი კარის წინ აღმოჩნდა, დაარტყა და დაბალმა ბურთმა ქვემოდან გაუარა მეკარე დოროხოვს — 3-1. ორიოდე წუთის შემდეგ სინიაკოვმა კვლავ მიაწოდა ბურთი პეტროვს, რომელიც შევიდა ჩვენს საჯარიმოში და ახლა ზედა კუთხეში გაგზავნა, როგორც იტყვიან, აუღებელი ბურთი. დოროხოვის ნახტომი ამაო იყო — 3-2. ახლა ისევ თბილისელები წავიდნენ წინ — მასპინძელთა დაცვა გაჭირვებით უმკლავდებოდა ჩვენს თავდამსხმელებს და რისვაი-ვაგლახით გზავნიდა ბურთს წინ კონტრშეტევისათვის. მიაღწიეს კიდეც მიზანს: მცველმა კოჩეტკოვმა ზუსტად მიაწოდა ბურთი რიაზანცევს, ამ უკანასკნელმა მოულოდნელად სინიაკოვზე მოახდინა გადაცემის იმიტაცია, მაგრამ ბურთი ... მიაწოდა უმეთვალყურეოდ მიტოვებულ პეტროვს. მისი დარტყმა კვლავ აუღებელი იყო — 3-3. პიოტრ პეტროვმა ამ დღეს „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა — სამი ბურთი გაიტანა ხუთ წუთში. ორიოდე სიტყვა მასზე: ეს ფეხბურთელი თამაშის მანერით არავის ჰგავდა, „თამაშის სილამაზე უბრალოებაშია“— ამბობდა იგი. პეტროვმა 39 წლამდე ითამაშა. ვიქტორ მასლოვმა მას „უდიდესი ფეხბურთელი“ უწოდა. (პ. პეტროვი ადრე მინსკის „დინამოსა“ და ცდკა-ში გამოდიოდა).

მეორე ტაიმი შედარებით უინტერესო იყო — ფეხბურთელები აშკარად დაიღალნენ. ახლა გუნდები ცდილობდნენ უფრო თავიანთი კარის უსაფრთხოებაზე. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მეტოქენი აღარ ფიქრობენ გოლის გატანაზე. ტემპი საგრძნობლად დაეცა. მეკარეები დოროხოვი და ვინოგრადოვი ორ-სამჯერ თუ ჩაებნენ სერიოზულ თამაშში.

მატჩის მიწურულში მეკარის პირისპირ გასულმა პაიჭაძემ (ფინალურ სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე) დაარტყა მაღალი ბურთი, რომელიც მეკარემ ინსტინქტურად მოიგერია მუშტით, აქვე გაისმა ნ. უსოვის უკანასკნელი სასტვენი...

დაუვიწყარი მატჩი ჩვენი ფეხბურთის ისტორიის კუთვნილება გახდა.

აი რას წერდა გაზეთი „კრასნი სპორტი“ თამაშის მეორე დღეს: „ეს შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია კავშირში და პირველ ადგილზე გასვლის რეალურ კანდიდატად ითვლება მიმდინარე გათამაშებაში. ქართველი ფეხბურთელები მოიგებდნენ ამ მატჩს, თუკი მათ მიერ სამი გატანილი ბურთის შემდეგ, უკან დახევდნენ ცენტრალურ მცველს ფროლოვს, როგორც ეს მეორე ტაიმში გააკეთეს. მთელი გუნდი საკმაოდ ძლიერად თამაშობდა, მისმა ფეხბურთელებმა აჩვენეს დიდი ოსტატობა. ამოუწურავი ენერგია გამოავლინა ჯეჯელავამ — ერთადერთმა მოთამაშემ, რომელმაც ბოლომდე გაუძლო თავბრუდამხვევ ტემპს, დიდებულად „ჩაკეტა“ თბილისელმა ფროლოვმა მოსკოველი სინიაკოვი. იშვიათი სილამაზის ბურთი გაიტანა პაიჭაძემ, რომელმაც უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა. ბურთის რამდენიმე ბრწყინვალე „ჩაჭრა“ განახორციელეს თბილისელთა საიმედო მცველებმა, რითაც დაიცვეს თავიანთი კარი, ხოლო მეკარე დოროხოვმა წინ ორი ზუსტი გამოსვლით არ მისცა საშუალება ტორპედოელებს გაეზარდათ ანგარიში. თბილისის „დინამო“ ამ სეზონში ბევრად უკეთ თამაშობს შარშანდელზე, რაც შეეხება მატჩის არბიტრს ნ. უსოვს, მან შეხვედრის წარმართვისათვის სწორი ხაზი აირჩია — თამაში პირველ ტაიმში სწრაფი, ენერგიული, შემტევი იყო, შეიძლება ზოგჯერ მკვეთრი, მაგრამ არა უხეში.

**ოთარ ნოზაძე**

*ფოტოები ავტორის არქივიდან*



*თბილისელთა კაპიტანი შოთა შავგულიძე წაიქცა ჩვენს საჯარიმოში და ახლა პეტროვი ცდილობს გაექცეს არჩილ კიკნაძესაც.*



*მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ 1938 წლის 14 ივლისის ის დაუვიწყარი მატჩი. დინამოელთა მცველმა ედუარდ ნიკოლაიშვილმა ოსტატურად აართვა ბურთი ფეხიდან კარში დარტყმისათვის გამზადებულ სინიაკოვს.*



*დინამოელთა გუნდის ახალბედამ, 23 წლის მარჯვენა გარემარბმა გაიოზ ჯეჯელავამ ამ თავის პირველ მატჩში მოსკოვში ნამდვილი ფურორი მოახდინა — ორი გოლიც გაიტანა...*

# მთავარი კრიტერიუმი ჩემპიონთა ლიგაა

**დიდიე დეშამი,** გარდა იმისა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია, ერთი საინტერესო რამითაც შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. როგორც მოგეხსენებათ, ევროპის ქვეყნების ხუთ მთავარ ჩემპიონატებიდან (იტალიის, ინგლისის, ესპანეთის, გერმანიის და საფრანგეთის) 31 წლის ფრანგ ნახევარმცველს, ეროვნული ნაკრების კაპიტანს ოთხში აქვს ნათამაშევი. რჩება მხოლოდ ბუნდესლიგა, სადაც დიდიე, უბრალოდ, ასაკის გამო ველარ მოასწრებს მონაწილეობას.
დიდიე დეშამს ესაუბრება პარიზის „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტი.

***● დიდიე, თქვენ ამაყობთ იმით, რომ უკვე მეოთხე დიდ ლიგაში მონაწილეობთ?***

— ვამაყობ? არა, სრულიადაც არა. ჩემი არჩევანი სულაც არ არის რაიმე რეკორდთან დაკავშირებული, მაშინ გავამაყდები, თუკი ახალ გუნდთან ესპანეთში სერიოზულ წარმატებას მოვიპოვებ, როგორც ეს საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში მოხდა. მონაწილეობა ხომ თვითმიზანი არ არის, როცა არაფრისკენ მიისწრაფვი, მაშინ რა კმაყოფილებაზეა ლაპარაკი.

***● არ გაგაოცათ იმ სისწრაფემ, რომლითაც „ჩელსიმ" და „ვალენსიამ" მოაგვარეს ყველა ფორმალობა?***

— გამიკვირდა, და თანაც არც ისე. როცა კლუბს ამა თუ იმ მოთამაშის შეძენა სურს, საქმე მართლაც ძალიან სწრაფად მოგვარდება ხოლმე. ჩემს შემთხვევაში აჩქარება მაინცდამაინც საჭირო არც იყო. ესპანეთის ჩემპიონატი ხომ სექტემბერში იწყება, კონტრაქტებისათვის, გადასვლა-გადმოსვლისათვის ჯერ კიდევ დრო რჩება. ამასთან, არც მე, არც „ვალენსიას" არ გვინდოდა საქმის გადადება. ეს გადასვლა ჩემი პირადი საქმე იყო. ვიცოდი ჩემი სატრანსფერო ფასი (დაახლოებით 4 მილიონი დოლარი) და თვით მოვძებნე კლუბი. „ჩელსის" დირექტორმა კოლინ ჰატჩინსონმა კი, რომელთანაც მშვენიერი ურთიერთობა მქონდა, უბრალოდ, მაშინვე მოაწერა ხელი კონტრაქტს. იგი ჩემსავით კმაყოფილი იყო, რომ სწრაფი არჩევანი გავაკეთე.

***● თქვენი გამოსვლა ინგლისში იმედის გამაცრუებელი იყო?***

— როგორ გითხრათ. ასე ვთქვათ, გარკვეული გამოცდილება მივიღე. ჩემთვის სრულიად უცნობ ფეხბურთთან მქონდა საქმე. არ მინდა მისი გაკრიტიკება, მაგრამ მინდა ვაღიარო, ზოგი რამ „ჩელსიში" ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

***● მაინც რა?***

— ეს, პირველ რიგში ეხება მწვრთნელთან (ჯანლუკა ვიალისთან) ურთიერთობას, რომელიც არა მარტო რთული, არამედ, უბრალოდ, აუტანელი იყო. მაგრამ, პირდაპირ გეტყვით, არ მინდა ამ საქმის დეტალებზე საუბარი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო. მახსოვს, როგორი ადამიანი იყო ვიალი, როცა თამაშობდა, და როგორი კაცი გახდა, როცა მწვრთნელი გახდა. პირდაპირ სრულიად საწინააღმდეგო, ღმერთმანი.

***● სეზონი „ჩელსიში" თქვენთვის არც ისე მძიმე იყო...***

— რატომ, ასე არ ვფიქრობ. მართალია, ყველა მატჩში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ რომელ იოლ სეზონზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გუნდი ინგლისის თასს ეუფლება და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდე აღწევს. 48 თუ 49 მატჩში ვითამაშე. მართალია, ზოგი ამბობდა: „იგი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის". რეალურად თუ ვიმსჯელებთ, სულ რამდენიმე მატჩი გამოვტოვე, ისიც ტაქტიკური მოსაზრებებით, მწვრთნელმა საჭიროდ ჩათვალა ჩემთვის დასვენების დღეები მოეცა. ეს იყო და ეს. ისე რომ, სრულფასოვანი სეზონი ჩავატარე. ახლა, რაც შეეხება ჩემი თამაშის დონეს: ზოგი მატჩი კარგად ჩავატარე, ზოგი უფრო უარესად. ყველაზე უკეთ ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობდი, ეს გასაგებიც არის — მეტი ემოციური სტიმული მქონდა. რაც შეეხება პრემიერ-ლიგას, მისი მატჩები ნაკლებ სიამოვნებას მანიჭებს.

***● მაინც რა არ მოგწონთ კონკრეტულად ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში?***

— ვერ შევძელი ჩემი შესაძლებლობების მთელი 100 %-ით გამოყენება. რატომ? იმიტომ, რომ იტალიიდან, „იუვენტუსიდან" უკვე ჩამოყალიბებული სათამაშო სტერეოტიპებით ჩამოვედი, ეს ეხება ბურთის წართმევის მეთოდებს, კომბინაციური მოქმედების განვითარებას, სხვადასხვა სათამაშო ხერხს თუ საშუალებას. აქ კი, ინგლისში წინადადება მომცეს შემეცვალა ეს სტერეოტიპები. კერძოდ, პრემიერ-ლიგაში გაცილებით უფრო კონტაქტურ ფეხბურთს თამაშობენ. შესაძლოა, ეს მაყურებლებს მოსწონთ კიდეც, მაგრამ მას ვერ შევეჩვიე. იტალიაშიც არავინ ერიდება ფიზიკურ შეხლა-შემოხლას, იქაც ხისტად მოქმედებენ, თანაც, მინდვრის ყველა უბანზე, მაგრამ ზედმეტად ძალისმიერ თამაშს იქ მაინც ებრძვიან.

***● შეიძლება ითქვას, რომ ბოლო სეზონი თქვენთვის ყველაზე იმედის გამაცრუებელი იყო?***

— არ ვიცი, წიგნი ხომ ბოლომდე უნდა წაიკითხო, რათა შთაბეჭდილება გამოიტანო. სეზონიც მთლიანობაში უნდა აღვიქვათ. ისე რომ, მას ცუდად ნამდვილად არა ვთვლი. არც ინგლისური გამოცდილება იყო ნეგატიური. პირიქითაც კი.

***● „ვალენსიის" გარდა, თქვენს სიაში სხვა კლუბებიც ხომ არ იყო?***

— იყო, მაგრამ ამაზე არ ღირს ლაპარაკი.

***● მათ შორის ფრანგულებიც?***

— არა, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია.

***● რატომ?***

— იმიტომ, რომ ფრანგული კლუბები ფინანსურ საკითხებში მეტად ხელმომჭირნენი არიან. ეს გასაგებია, მათ ხომ არა აქვთ ისეთივე შესაძლებლობები, როგორც იტალიელებს, ესპანელებს, ინგლისელებს. ამიტომაც თითოეულ კაპიკს ითვლიან. მათთვის მეტად ძვირადღირებულები ვართ. როცა ვამბობ „ჩვენ", ვგულისხმობ ნაკრების იმ წევრებს, ვინც 30 წელს გადავაცილეთ. ერთის მხრივ, ძვირი ვღირვართ, მეორე მხრივ კი არაპერსპექტიულები. ამიტომ ახალგაზრდების შეძენას ამჯობინებენ.

***● მაშ, საიდან იღებდით წინადადებებს?***

— იმავე ესპანეთიდან, აგრეთვე იტალიიდან და პორტუგალიიდან.



დიდიე დეშამი

***● ადრე განაცხადეთ, რომ კლუბის არჩევანში თქვენი კრიტერიუმია მისი მონაწილეობა ჩემპიონთა ლიგაში. ახლაც იგივე აზრისა ხართ?***

— რა თქმა უნდა, მინდა კვლავინდებურად უმაღლეს დონეზე ვთამაშობდე, ამისათვის კი ჩემი კლუბი ჩემპიონთა ლიგაში უნდა გამოდიოდეს. საკლუბო დონეზე მხოლოდ ეს ტურნირი იძლევა მწვერვალებისაკენ მისწრაფების მაგიურ გრძნობას, მისი ახალი ფორმატის მიუხედავად, რომელიც ჩემპიონთა ლიგას არ თვლის ჩემპიონების ტურნირად. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებებს კლუბების არჩევაში, აქ სპორტული ასპექტი ყოველთვის უმთავრესი იყო. ამასთან, ახლა, მარსელის შემდეგ, პირველად მიხარია ამ ქალაქში ცხოვრება.

***● ერთი სიტყვით, ამან იმოქმედა თქვენს არჩევანზე?***

— ასე არ ვიტყოდი. მთავარი მაინც სპორტული ასპექტია. ყველა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი. ტურინში და ლონდონში ცხოვრების შემდეგ ვალენსია სამოთხედ მეჩვენება.

***● ტურინი ცუდი ქალაქია?***

— არა. უბრალოდ, ეს ქალაქი დუნედ, მოზომილი რიტმით ცხოვრობს. ტურინი მუშების ქალაქია, მაგრამ მისი სპორტული სული პატივისცემას იმსახურებს. უკვე აღარ ვლაპარაკობ „იუვენტუსის" თამაშის დონეზე.

***● ლონდონი?***

— ბევრნი, ვისაც ლონდონზე ველაპარაკე, ფიქრობენ, რომ იქ ცხოვრება ძალიან ჰგავს საფრანგეთისას. ლონდონს ისინი ძალიან ლამაზ ქალაქად თვლიან. მე ასე არა ვფიქრობ...

***● ვალენსიას კარგად იცნობთ?***

— არც ისე. დავიბადე ესპანეთთან ახლოს, ბაიონაში (ბასკეთის ფრანგული ნაწილის მთავარი ქალაქი). ესპანეთში ჯერ კიდევ ბავშვობისას ვარ ნამყოფი. ალენ როში და ჟოსლენ ანგლომა ჩემთან შეხვედრისას ვალენსიას ძალიან აქებდნენ.

***● უშუალოდ კლუბზე რაღას ფიქრობთ?***

— „ვალენსია" ესპანური ფეხბურთის, ბოლო სეზონის შემდეგ კი ევროპული ფეხბურთის ლიდერთა ჯგუფში შედის. ექტორ კუპერმა და მისმა გუნდმა ყველას აჩვენა, რომ წინასწარ დასახული გეგმით უნდა მიაღწიო წარმატებას. ვფიქრობ, ყველა აღაფრთოვანა „ვალენსიის" ტემპმა და თამაშის დინამიკამ, მოთამაშეების უნარმა ერთობლივი ძალით გადაეწყვიტათ ამოცანები, როგორც დაცვაში, ისე წინა ხაზზე, საკუთარი ძალის რწმენამ. ვიმედოვნებ, რომ „ვალენსია" ახალ სეზონშიც შეინარჩუნებს თავის ყველა ღირსებას.

***● შეიძლება ითქვას, რომ თქვენი აზრით, ესპანეთის ლიგაში მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობენ.***

— აქაური ფეხბურთი, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ოდნავ უფრო ლათინურია, ვიდრე იტალიაში. ამასთან, არა მგონია, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონატებს შორის რაიმე პრინციპული განსხვავება იყოს. იტალიური ფეხბურთი კი ყოველთვის მომწონდა. ისე რომ, მოუთმენლად ველი სეზონის დასაწყისს, ახალ მეტოქეთა გაცნობას და საინტერესო მატჩებს.

***● რამე იცით „ვალენსიაში" მომხდარი საკადრო ცვლილებების შესახებ?***

— მხოლოდ ის ვიცი, რომ გუნდი დატოვა შუა ხაზის ორმა წამყვანმა მოთამაშემ. ფარინოსი „ინტერში" გადავიდა, ხერარდ ლოპესი კი „ბარსელონაში". ეს ჩემთვის აქტუალურია.

მოამზადა
**ბიბი თორელმა**

# თუ ყველას გაყიდი...

## საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ხუთი მთავარი ევროპული ჩემპიონატიდან, – იტალიის, ინგლისის, გერმანიის, ესპანეთის და საფრანგეთის – ყველაზე ადრე საფრანგეთის პირველობა იწყება ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც. ბრძოლა 29 ივლისს დაიწყო და, ასე, მცირე შესვენებებით, 19 მაისამდე გაგრძელდება. მატჩები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შაბათობით მიმდინარეობს.

V ტურის შემდეგ პირველი მცირე შესვენება 6 სექტემბრამდე გამოცხადდა. ამან მიმომხილველებს თუნდაც წინასწარი, ძალიან ფრთხილი დასკვნის საშუალება მისცა.

საფრანგეთის ნაკრების უდიდესი წარმატების შედეგია ქვეყანაში ფეხბურთის პოპულარობის აშკარა ზრდა. უკვე პირველი ტურის შეხვედრებს 260 ათასი მაყურებელი დაესწრო. მეტად მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი პირველობისათვის, რისთვისაც წამყვანი (და მდიდარი!) კლუბები ძალიან ცდილობდნენ შემადგენლობების გაძლიერებას.

ჯერჯერობით მთავარ მოულოდნელობად ითვლება ჩემპიონ „მონაკოს" უფერული სტარტი, რომელმაც პირველი 5 შეხვედრიდან მოიგო 2, ამდენივე ფრედ დაასრულა და ერთიც წააგო (8 ქულა, ბურთები 8-8, მერვე ადგილი), უკვე მეორე ტურში იგი სასტიკად დამარცხდა – 2-5, თანაც საკუთარ მინდორზე, არც ისე ძლიერ „ნანტთან". დიახ, ეს, ვიმეორებთ, მოულოდნელი იყო, მაგრამ მთლად ზუსტი რომ ვიყოთ, ასე ვთქვათ, არც ისეთი! საქმე ის არის, რომ ზაფხულში „მონაკომ" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გაყიდა. დავიდ ტრეზეგე, იგი არაჩვეულებრივ პოპულარული გახდა, ტურინის „იუვენტუსში" გადავიდა, განთქმული მეკარე ფაბიენ ბარტეზი – „მანჩესტერ იუნაიტედში", მცველი ვილი სანიოლი – მიუნხენის „ბაიერნში", დირიჟორი საბრი ლიამუში – „პარმაში". რა თქმა უნდა, „მონაკომ" რამდენიმე მოთამაშეც შეიძინა, მათ შორის მარსელის „ოლიმპიკის" ცნობილი მეკარე სტეფან პორატო, სნაიპერი შაბანი ნონდა – „რენიდან". და მაინც ეს გაცვლა-გამოცვლა ნამდვილად ტოლფასოვანი არ არის. ისე კი, თუ ყველას გაყიდი, ჩემპიონობის პრეტენზია არც უნდა გქონდეს...

ამასობაში ბევრი მოთამაშე შეიძინა „პარი სენ-ჟერმენმა", აშკარად გაძლიერდა და აშკარად „გაშავდა". ასე, მაგალითად, სასტარტო მატჩში „სტრასბურთან" (3-1) მინდორზე გამოვიდნენ შავკანიანი ფეხბურთელები, მოგვარეები ალიუ და ედუარდ სისეები, დისტენი, ლიუქსენი, დალმა და დიავარა, ნიგერიელი ოკოჩა, ბრაზილიელი სნაიპერი კრისტიანი, აგრეთვე მაროკოელი ელ-კარკური და მალგაშური წარმოშობის რაბეზანდრატანა (ორი უკანასკნელი მულატია, ისევე, როგორც მეორე ტაიმში ოკოჩის შემცვლელი ალა ბენარბია). მატჩში არ მონაწილეობდა განთქმული ნიკოლა ანელკა, როგორც გაირკვა, იმიტომ, რომ მისი გადმოსვლა მადრიდის „რეალიდან" ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული საფრანგეთის ფეხბურთის მამების მიერ.

მეორე ტურიდან (მეორე ტაიმიდან) ანელკა ჩაება თამაშში, თუმცა ამ დღეს თავი არ გამოუჩენია (1-1 სტუმრად „რენთან"). იგივე ითქმის მესამე (2-1 „სედანთან") და მეოთხე (0-1 „მეცთან") ტურებზეც, მაგრამ მეხუთეში (3-1 „ბასტიასთან") უკვე კარგად ითამაშა და ორი გოლიც გაიტანა. თვით ანელკამ, რომელიც მშობლიურ კლუბში თავს (ჯერჯერობით!) ძალიან კარგად გრძნობს, განაცხადა, რომ უამრავ გოლს გაიტანს და პირველი სნაიპერი გახდება, თუ, რა თქმა უნდა, სხვა ბომბარდირები დაეთანხმებიან. ანელკასთან წყვილში თამაშობს შედეგიანი ბრაზილიელი თავდამსხმელი კრისტიანი. პარიზელებს ამ „დუეტის" დიდი იმედი აქვთ.

ახლა 11 ქულით, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად, ლიდერობს „ლანსი" (3 მოგება და 2 ფრე, 8-4), რომელიც ცნობილია იმით, რომ გასვლით მატჩებში (ეს საფრანგეთში მაინცდამაინც მიღებული არ არის) უამრავი გულშემატკივარი დაჰყვება. ახალი სეზონიდან „ლანსს" ხელმძღვანელობს საფრანგეთში კარგად ცნობილი სპეციალისტი როლან კურბისი, რომელიც ადრე წარმატებით მუშაობდა მარსელის „ოლიმპიკში", სანამ კლუბის დირექტორატმა მეტისმეტად დიდი პრეტენზიები (მაინცდამაინც ჩემპიონობა!) არ წაუყენა. ალბათ, საკმაოდ მალე გავიგებთ, რამდენად სერიოზულია „ლანსის" პრეტენზიები მაღალ საპრიზო ადგილზე, ჯერჯერობით კი ლიდერი წამყვან კლუბებს არ შეხვედრია.

რა თქმა უნდა, წარუმატებლად ჩაითვალა მარსელის პოპულარულ „ოლიმპიკის" სტარტი (2 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, 7 ქულა, ბურთები 8-8), კლუბისა, რომელიც ყოველ ჩემპიონატში ითვლება ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად. მთლად უფერული შედეგი (1 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება 0-2 „ბასტიასთან") აქვს „ლიონს", რაც ნაწილობრივ იმით უნდა აიხსნას, რომ ოჯახური ტრაგედიის გამო ერთხანს არ თამაშობდა განთქმული ბრაზილიელი სნაიპერი სონი ანდერსონი, რომელიც ახლა საფრანგეთში დიდად პოპულარულია და პრეტენზიას აცხადებს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზე.

მაშ ასე, „ლანსს" (11 ქულა) თითო ქულით ჩამორჩებიან „ლილი", „პარი სენ-ჟერმენი" და „ნანტი", ხოლო 9-9 ქულა „ბასტიასა" და „ოსერს" აქვთ.

ერთ-ერთი სიახლე ფრანგულ ფეხბურთში გახლავთ ის, რომ „ლანსს" მოლაპარაკება აქვს თვით რობერტო ბაჯოსთან, რომელსაც „ინტერთან" კონტრაქტის ვადა გაუთავდა და თავისუფალ აგენტად იქცა. თუ „ლანსმა" ეს ოპერაცია წარმატებით განახორციელა და ბაჯო მართლაც გადაიბირა (განთქმულ იტალიელს ხომ არაერთი სხვა გუნდიც ეპატიჟება, მას „ინტერშიც" დარჩენას სთხოვენ...

... ადმინისტრაციულ თანამდებობაზე!), მაშინ „ლანსს", ცხადია, თავდასხმის გაძლიერების კარგი შესაძლებლობა ექნება.

6 სექტემბერს VI ტურში რამდენიმე საინტერესო შეხვედრაა. „ლანსი" მიიღებს „ოსერს", „მონაკო" შინ ეთამაშება ძველ პრინციპულ მეტოქე „ოლიმპიკს" (მარსელი), „ნანტი" მასპინძლობს „ბორდოს", რომელმაც ჯერჯერობით ვერ მოაგვარა კონფლიქტი აჯანყებულ სილვენ ვილტორთან, ხოლო „სენტ-ეტიენი" (სადაც გამოდიან ალექსანდრ პანოვი და ამჟამად დაშავებული მაქსიმ ლევიცკი) „ლიონს" მიიღებს.

**ბიბი ბამრეკელი**



„სენტ-ეტიენი" – „ოლიმპიკი". ჟიულენ საბლე (მარჯვნივ) კარლუს ანდრიანუს წინააღმდეგ

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ყველამ ისწავლა ეშმაკობა

ის, რომ შვეიცარიის ნაკრებში თამაშობენ თურქები: ნახევარმცველი მურატ იაკინი („კაიზერსლაუტერნიდან") და თავდასხმელი ჰაკან იაკინი („გრასჰოპერსიდან") ეს აქამდეც კარგად იყო ცნობილი. იტალიელმა ნახევარმცველებმა ალექსანდრ კოზიმეტიმ (თამაშობს „ოსერში") და მარიო კანტალუპიმ („ბაზელი") ასევე მიიღეს შვეიცარიის მოქალაქეობა, ახლა კი მათ დაემატა კონგოელი ლიუბამბა.

### ევროპელი ურჩევნიათ

სამხრეთ ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელობამ, მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მწვრთნელ ტროტ მოლოტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა, მთავარ მწვრთნელად მიიწვია პორტუგალიელი სპეციალისტი კარლუშ კეირუში. მოლოტის პოზიცია მაშინ შეერყა, რაც ნაკრები სუსტად გამოვიდა აფრიკის თასის ფინალურ ტურნირში. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჰოლანდიელებთან გუუს ჰიდინკთან, იო ბონფრერესთან, კლემენს ვესტერჰოფთან, იტალიელ ჯუზეპე დორენასთან, უპირატესობას კი ანიჭებდნენ იმ მწვრთნელს, რომელსაც უკვე ჰქონდა შავ კონტინენტზე მუშაობის გამოცდილება.

საინტერესოა, რომ ეს უკვე მესამე ეროვნული ნაკრებია, რომლის მთავარ მწვრთნელადაც 47 წლის კარლუშ კეირუში ინიშნება. 1991-93 წლებში იგი პორტუგალიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა, მაშინ კი არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. სხვადასხვა დროს მწვრთნელის საქმიანობას ეწეოდა იაპონიასა და აშშ-ში. საინტერესოა, რომ სამხრეთაფრიკელთა ადრინდელი მწვრთნელი ტროტ მოლოტიც უსაქმოდ არ დარჩენილა. იგი ამიერიდან კარლუშ კეირუშის თანაშემწე იქნება.

# სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

*პირველი გვერდიდან*

პირადად იძლეოდა უმაღლესი ხელისუფალი.

დღეს, სხვა დროა, საბაზრო ეკონომიკა გამორიცხავს ყველაფერში ცენტრალიზებულ და ტოტალიტარულ მმართველობას, თორემ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ახლაც რომ ქართული სპორტის გულმხურვალე ქომაგია, ყველას კარგად მოეხსენება. მოკლედ, დღეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თავად ადგილობრივი თუ დარგობრივი მმართველები როგორ დაინტერესებას იჩენენ სპორტისადმი. სამწუხაროდ, ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის დამოკიდებულება მისაბაძი ვერ გამოდგა, თუ რატომ, ამაზე უკვე ზემოთ ითქვა.

მაშ ასე, ქართული სპორტი და ადგილობრივი მმართველობა! მთავარი ის არ არის, რომ რაკურსი შეიცვალა, მთავარი უინიციატივობაა, რაც ყოველწლიურად კი არა, ყოველდღიურად დიდ ზიანს აყენებს ქართულ სპორტს. თუმცა, როგორც ამბობენ, ზოგჯერ ინიციატივაც დასჯადია. ეს, თუმცა არც საბჭოთა დროისათვის იყო უცხო რამ. გაიხსენეთ თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობა და საკავშირო ხელმძღვანელობის, პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის გაცხარება ამ ფაქტის გამო. აგერ, ჩვენი დროის სულ ახალი ამბავი, ამ შემთხვევაში განსასჯელად და აქედან გამომდინარე დასჯის მცდელობად იქცა დარგობრივი თაოსნობა, როცა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა ვაკეში „ლოკომოტივის" სტადიონის განახლება მოიწადინა. ისევ ქვეყნის პრეზიდენტი მოეკიდა გაგებით აკაკი ჩხაიძის ამ თაოსნობას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ საქმე „ინიციატივის დასჯამდე" არ მივა. დავუკვირდეთ, არაჯანსაღი აჟიოტაჟი მხოლოდ ერთი პიროვნების საწინააღმდეგოდ როდი ატყდა, ქვეტექსტში ისიც იკითხებოდა, რომ თუ ვინმე გაბედავს და ქვეყანაში ქართული სპორტისა და მასების გაჯანსაღების, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური სრულყოფის სასიკეთოდ რამეს მოიმოქმედებს – დაისჯება. ასე მკვიდრდება ჩვენში „დემოკრატია"

და მაინც, იქნებ რისკის ფასადაც, არიან ადგილობრივი თუ დარგობრივი ხელმძღვანელები, რომლებიც პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევენ ქართული სპორტის თანადგომას. ავიღოთ, მაგალითად, თბილისის მერი, ფოთის, ქუთაისის და ზესტაფონის ხელმძღვანელობა. ამ ქალაქებში სპორტს არ ივიწყებენ და არც ზემოდან მითითებას ელოდებიან, თავად მიდიან რეფორმის გზით.

ცალკე უნდა ითქვას აჭარის ხელმძღვანელზე, კიდევ კარგი, ეს ავტონომიური რესპუბლიკა სხვის დაუკითხავად იყენებს სუვერენულ უფლებებს. სპორტი გვაქვს მხედველობაში და ის არაერთი მისაბაძი მაგალითი ქართული სპორტის საკეთილდღეოდ რომ მიითვალა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მატიანემ. აი, ეს არის, ან თითქმის სულ ეს არის. ხოლო საერთო შთაბეჭდილებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ასევე უწყებებში და ცხოვრების ცალკეულ დარგებში, ერთნაირად თანაბრად შეიმჩნევა ქართული სპორტის მოძულების ტენდენციები...

თენგიზ გაჩეჩილაძე

*გაგრძელება იქნება*

დასაწყისი იხ. «ლელო» №55-61, 63-65, 67-69

# 50 წლის წინათ...

**თბილისი.** წყალბურთში 1950 წლის საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის „დინამოს" გუნდმა.

**ბორჯომი.** ლიკანში პირველად მოეწყო კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნები.

**ჭიათურა.** ფრენბურთში ვაჟთა საქალაქო პირველობა მოიგო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის გუნდმა.

**ვანი.** სოფ. მთისძირში გაიხსნა ჭადრაკის შემსწავლელი წრე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩომახიძე.

**ცხაკაია.** სოფ. მენჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გაშენდა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები.

მხატვრული ტანვარჯიში

# ხატია სურამელაშვილის ხსოვნის ტურნირი


ინგა თავდიშვილი

ნორჩი მხატვრული ტანმოვარჯიშის ხატია სურამელაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა, რომელიც თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის (უფროსი ვ. კანკავა) თაოსნობით ჩატარდა, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერეს ტანმოვარჯიშეს მოუყარა თავი. მონაწილეთა შორის იყო ჩვენი ოლიმპიელი, რუსთაველი ინგა თავდიშვილი, რომელმაც ამჯერადაც დაამტკიცა, რომ საქართველოში დღეს იგი უძლიერესია. მთავარი პრიზი სწორედ მას ხვდა წილად, რომელიც გამარჯვებულს ხატიას მამამ გადასცა. ინგას გადაეცა აგრეთვე საჩუქარი — მაგნიფოტონი, რომელიც მან თავის მხრივ საქართველოს ნაკრებს უსახსოვრა ამას წინათ ნაკრებიდან მოპარული მაგნიტოფონის სანაცვლოდ.

მეორე ადგილზე გავიდა ბათუმელი ინგა კერესელიძე, მესამე იყო თბილისელი ნინო გედევანიშვილი, პრიზიორებს დიპლომებთან ერთად და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ც. ბაძრაძე

სოფელი იბრუნებს ტრადიციას

# დიდი სპორტული დღესასწაული ვახანში

**ისტორიული სოფელია ვახანი ხარაგოულის რაიონში. მასზე ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს: „ვახანს არს ციხე კარგი, კაცნი და ქალნი შუენიერნი, მებრძოლნი, შემართებულად დიდებულნი, მომჭირნე მუშაკნი, სტუმართმოყვარენი, ნადირნი, ფრინველნი და კალმახნი მთათა-კერძოთა მრავალნი".**

სწორედ ასეთია დღესაც ვახანი თავისი ბუნებით. მშრომელი, პატიოსანი, შემოქმედი ადამიანებით.

მრავალი თვალსაჩინო ადამიანი აღუზრდია ამ სოფელს.

ამ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ლამაზი ტრადიციებიდან აღსანიშნავია სპორტისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. სოფელში სისტემატურად იმართებოდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, დოღში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში და სპორტის სხვა სახეობებში.

ახლაც სოფლის გამგებლის ბუხუტი ლაცაბიძის, ენთუზიასტების ვეფხია დონდაძის და ბონდო ქურდაძის ინიციატივით ამ დღეებში სოფლის ცენტრში გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული, რომლის შესახებაც სპეციალური აფიშები ამცნობდნენ რაიონის სოფლებს.

1000 კაცზე მეტი მაყურებელი დაესწრო დოღს, ქართულ ჭიდაობას, მკლავჭიდს, თავისუფალ ჭიდაობაში საჩვენებელ გამოსვლებს. ღონისძიებებს უძღვებოდნენ რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ანზორ მაღრაძე და რაიონის სპორტსკოლის დირექტორი გელა გოლუბიანი, საერთო ხელმძღვანელობას უწევდა რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე ტოგო ხიჯაკაძე. 20-ზე მეტი მხედარი დაეშვა ვახანიდან ვახანის წყლამდე და უკან. 10 კილომეტრიანი ტრასის ფინიშთან პირველი ვახანელი მამუკა ფერაძე მიიჭრა, მეორე იყო მარელისელი ვახტანგ მაღრაძე, მესამე – ვახანელი დავით ავალიშვილი.

ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. V-VII კლასის მოსწავლეებს შორის პირველი ადგილები დაისაკუთრეს ხეველმა ძმებმა ვლადიმერ და ზურაბ გრიგალაშვილებმა, მინდია ხაჩიძემ, ვახანელმა თემურ ჩაჩანიძემ და თევდორე ებანოიძემ.

VIII-XI კლასელთა შორის გამარჯვებულები გამოვიდნენ ზვარელი თემურ ტალახაძე, ვახანელი მამუკა არევაძე, ხარაგოულელები ვახტანგ ჭანკვეტაძე, ზვიად კვინიკაძე და დავით ტაბატაძე.

ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს ხეველმა სოსო და კახაბერ გრიგალაშვილებმა, ვახანელმა მანუჩარ და გიორგი ფერაძეებმა, თემურ ლომსაძემ.

აბსოლუტურ წონაში ფალავანი გახდა თემურ ლომსაძე. საჩვენებელი შეხვედრები მოეწყო თავისუფალ ჭიდაობაში. შემდეგ მაყურებელთა ტალღა მკლავჭიდის მაგიდას მიაწყდა. ძალზე დაძაბულ ბრძოლებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეზობელი სოფლების სპორტსმენები.

გამარჯვებულნი გამოვიდნენ მარელისელი არჩილ ჩხეიძე, ლეღვნელი ზაზა შარიქაძე, ვახანელი გიორგი წოწინაშვილი, ჯონი არევაძე, კობა მარსაგიშვილი და თემურ ლომსაძე.

აბსოლუტურ წონაში პირველობა არავის დაუთმო ვახანელმა თემურ ლომსაძემ, მეორე, მესამე ადგილები გაინაწილეს მარელისელმა არჩილ ჩხეიძემ და ვახანელმა ჯონი არევაძემ.

შეჯიბრებაზე გამოიკვეთა ხარაგოულის და ხევის სპორტსკოლის ჭიდაობის სექციების ნაყოფიერი მუშაობა (ხელმძღვანელები ა. მაღრაძე და ა. გრიგალაშვილი).

დამთავრდა შეჯიბრებები. მონაწილენიც და მაყურებლებიც გაღიმებული სახეებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს მომავალ შეხვედრამდე.

**ჰენრი შარიქაძე,**
**„ლელოს" საკ. კორესპონდენტი იმერეთის მხარეში.**

Sydney 2000

## მეტი სიზუსტისათვის 5 გრამი არ დაამძიმებს

სიდნეიში ტრიატლონისტთა ოლიმპიურ შეჯიბრებაში პირველად დაინერგება სიახლე — სპორტსმენებს ტანზე დაამაგრებენ სენსორს, რომელიც მსაჯთა შტაბს ზუსტ ინფორმაციას გადასცემს თუ სად იმყოფება ესა თუ ის სპორტსმენი, რა მანძილი დაფარა და რა დროში. ეს მოწყობილობა მხოლოდ 5 გრამს იწონის და სულაც არ დაამძიმებს სპორტსმენებს, ყოველ შემთხვევაში, ყველა ხომ თანაბარ პირობებში იასპარეზებს.

## რესტორნებში შემოგთავაზებენ ... ნიანგს

**ის დრო წავიდა, როცა 1956 წლის ოლიმპიადაზე ჩასულებს მელბურნის რესტორნებში თევზითა და შემწვარ ქათამთან ერთად კარტოფილით უმასპინძლდებოდნენ. ახლა ყველაფერი შეიცვალა, მომავალ თამაშებზე სტუმრებს შეეძლებათ 2500-ზე მეტ რესტორანში მიირთვან ჭკუისდასაკარგი კერძები.**

**„ვიმედოვნებ, დავაკმაყოფილებთ ყველაზე წუნიების გემოვნებას", — თქვა სიდნეის ერთ-ერთი რესტორნის მფლობელმა.**

**ქალაქის ყველა ნაწილში არის ნაირგვარი ფუნდუკი, რომლებიც წარმოგიდგენენ სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს — ფრანგულს, ინგლისურს, იტალიურს, იაპონურს, ჩინურსა და ა.შ. აგრეთვე თავისებურ კაფეებში შეიძლება გასინჯოთ ტრადიციული აბორიგენული საკვები — გემრიელად დამზადებული ნიანგი.**

**„ხამანწკებით, კიბოთი, აგრეთვე ზღვის სხვა პროდუქციით ახლა აღარავის გააკვირვებ" — თქვა რესტორნების ქსელის, სადაც მარტო ზღვისნობათებისაგან ამზადებენ კერძებს, მეპატრონემ.**

**ავსტრალიის რესტორნები ცდილობენ დროის დინებას მიჰყვნენ და არ ჩამორჩნენ მოდას. ყველაფერი იღონონ ტურისტების მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად.**

**„სტუმრებს უახლეს და საგანგებოდ დამზადებულ საკვებთან ერთად გამორჩეული ღვინოებითაც გავაკვირვებთ", — თქვა ქსელის პატრონმა დოილმა.**

## პუტინიც ესტუმრება?

როგორც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეს-მდივანმა ალექსანდრ რატნერმა განაცხადა, სიდნეის შეიძლება პირადად ესტუმროს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, თუკი თავის სამუშაო გრაფიკში „ფანჯარას" გამონახავს. მას მიწვევა სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გაუგზავნა.

არავინ რუსეთის ხელმძღვანელთაგან, ლეონიდ ბრეჟნევის გარდა, ოლიმპიადებზე არა ყოფილა. მართალია, კრემლიდან ლუჟნიკამდე, უფრო ახლოსაა, ვიდრე კრემლიდან სიდნეიმდე.

## ოტიმ შეცვალა პროგრამა

**როგორც 5 ოლიმპიადის (მოსკოვი, ლოს-ანჯელესი, სეული, ბარსელონა, ატლანტა) მონაწილემ, განთქმულმა მორბენალმა მერლინ ოტიმ განაცხადა, მან გადაწყვიტა პროგრამის შეცვლა და 100 მეტრზე გამოსვლასთან ერთად თანახმაა 4X100 მეტრზე ესტაფეტაშიც მიიღოს მონაწილეობა.**

**40 წლის ოტის თავის კარიერაში 7 ოლიმპიური მედალი (5 ოლიმპიადაზე) და მსოფლიო ჩემპიონატების 14 ჯილდო აქვს მოპოვებული, აქედან ორი ოქროსი 200 მეტრზე რბენაში.**


სიდნეის ოლიმპიური სპორტული არენები თითქმის ერთადაა თავმოყრილი



მარტინა ჰინგისი



ანა კურნიკოვა



ლინდსეი დევენპორტი

# ნიკ ბოლოტიერის კითხვები

***ნიუ-იორკი ღია ჩემპიონატის დაწყებამდე განთქმულმა მწვრთნელმა ნიკ ბოლოტიერიმ (მისი აღზრდილია ამ ასპარეზობის ბევრი მონაწილე) ილაპარაკა მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელების შესახებ.***

**პიტ სამპრასი და ანდრე აგასი.** შეუძლიათ კი მათ კარგი შედეგის მიღწევა? (აგასი ახლა უკვე გამოეთიშა შეჯიბრებას — *რედ.*). მისცემს მათ ამის საშუალებას „დიდი მუზარადის" ყველაზე მნიშვნელოვან და მკაცრ ტურნირზე პოსტუიმბლდონური ტრავმები?

***ტომი ჰაასი და ლეიტონ ჰიუიტი.*** მზად არის კი რომელიმე მათგანი პროფესიულ ჩოგბურთში მწვერვალების დასაპყრობად?

**მაგნუს ნორმანი და გუსტავო კუერტენი.** აქვთ კი სათანადო გამოცდილება, რომ მოიგონ მარათონული ტურნირი „ჰარდკორტზე"? (კუერტენი უკვე დამარცხდა — *რედ.*).

**ევგენი კაფელნიკოვი, თომას ენკვისტი, ტიმ ჰერმანი, მარკ ფილიპუსისი.** გაუძლებენ კი ისინი სხვა, უფრო „მშიერი" პრეტენდენტების შეტევას?

*კითხვები ქალების შესახებ.*

**ვენუს და სერენა უილიამსები.** მართლა ისეა, რომ ისინი, რომ იტყვიან, მთელი თავით აღემატებიან დანარჩენებს? მათი ძალა, სისწრაფე, ათლეტური სტილი საკმაოდ საფუძველს იძლევა, რომ მსოფლიოში უძლიერესები გახდნენ.

**მონიკა სელეში, კონჩიტა მარტინესი, არანტა სანჩეს-ვიკარიო.** შეძლებენ კი ყოფილი ჩემპიონები ამ შეჯიბრებაშიც გამარჯვებულების ვიწრო წრეში აღმოჩნდნენ?

**მარტინა ჰინგისი.** როდის მოიპოვებს იგი „დიდი მუზარადის" მორიგ თასს?

**მერი პირსი.** როდის გახდება პირსი ჩემპიონი წლის მთელი 365 დღის განმავლობაში? ბოლო 18 თვეს ის გაცილებით უკეთ თამაშობს, რომელიც გაცილებით შინაარსიანი გახდა. პირსს ყველა შესაძლებლობა აქვს მოიგოს ნიუ-იორკის ტურნირი. მას შემდეგ, რაც მერი დაუმეგობრდა ბეისბოლის ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშე რობერტო ალომარს, იგი დამშვიდდა, დაწყნარდა. ამან კეთილად იმოქმედა მის სატურნირო შედეგებზე.

**ანა კურნიკოვა.** ყველამ იცის, რომ იგი მზად არის ჰოლივუდისათვის, მაგრამ რამდენად არის მზად მოიგოს კარიერაში პირველი ტურნირი? ანა ალტაცებას იწვევს, როგორც მოთამაშე. იგი მძლავრად თამაშობს, მიზანსწრაფულად, ამასთან, არაჩვეულებრივად ლამაზია. სწორედ ეს უშლის ხელს, არ აძლევს თამაშზე კონცენტრაციის საშუალებას. მან მეტი გულისყური უნდა გამოიჩინოს, კონცენტრაცია მოახდინოს გამარჯვების მოსაპოვებლად. როგორც კი თავის პირველ ტურნირში გაიმარჯვებს, ყოველგვარი კრიტიკა მის მიმართ შეწყდება!

**ლინდსეი დევენპორტი.** ვიცით, რომ მას შეუძლია ნიუ-იორკის ღია ჩემპიონატის მოგება. საინტერესოა, როგორ იმოქმედა მის რწმენაზე ბოლო წაგებებმა დებ უილიამსებთან. ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ ჩოგბურთი უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ძალების რწმენაა.

## ჩაწერეთ სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენთა გვარები

### კროსვორდი №69




## მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

## „ტოტო-ლოტო"

### 34-ე ტირაჟის შედეგები 2-3.09.2000

### ლოტო 6-42

**7 20 22 24 34 35**

გათამაშებაში მონაწილეობდა 10586 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6რიცხვი | 0 x | 31 727,90 ლ. | გადადის 35-ე ტირაჟში |
| 5რიცხვი | 1 x | 403,80 ლ. | |
| 4რიცხვი | 26 x | 10,10 ლ. | |
| 3რიცხვი | 256 x | 1,80 ლ. | |

### სუპერ 7

**5 5 6 5 6 9 8**

| | | | |
|---|---|---|---|
| 5565698 | 50 000 ლარი | 698 | 50 ლარი |
| 565698 | 15 000 ლარი | 98 | 3 ლარი |
| 65698 | 5 000 ლარი | 8 | 50 თეთრი |
| 5698 | 500 ლარი | | |

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

**2XX 221 222 X11**

გათამაშებაში მონაწილეობდა 3466 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5000,00 ლ. | გადადის 35-ე ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 807.60 ლ. | გადადის 35-ე ტირაჟში |
| 10 შედეგი | 12 x | 24.70 ლ. | |

### 35-ე ტირაჟის პროგრამა 9-10 სექტემბერი

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ინგ. | ბრედფორდი – არსენალი | | 20-20-60 |
| 2. ინგ. | კოვენტრი – ლიდსი | | 20-40-40 |
| 3. ინგ. | ნიუკასლი – ჩელსი | | 30-40-30 |
| 4. ესპ. | დეპორტივო – ბილბაო | | 60-20-20 |
| 5. ესპ. | სოსიედადი – რასინგი | | 40-30-30 |
| 6. ესპ. | სარაგოსა – ესპანიოლი | | 50-30-20 |
| 7. გერ. | კიოლნი – ლევერკუზენი | | 20-30-50 |
| 8. გერ. | ჰანზა – ფრაიბურგი | | 20-40-40 |
| 9. გერ. | ვერდერი – დორტმუნდი | | 30-40-30 |
| 10. საფ. | ლილი – ტრუა | | 60-20-20 |
| 11. საფ. | სტრასბური – ბასტია | | 20-40-40 |
| 12. საფ. | რენი – მეცი | | 40-30-30 |

35-ე ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გაატარეთ 8 სექტემბრის ჩათვლით

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი



პიტ სამპრასი (მარცხნივ) და ანდრე აგასი

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**5 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.25), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი სამხრეთ-ამერიკის ჯგუფში (15.15), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის ჩემპიონატი: „ატლეტიკო" – „სან-პაულო" (14.00), ჩემპიონთა ლიგის სტარტის წინ, 1999-2000 წ.წ. „ვალენსია" – „ბარსელონა" (15.45), „რეალი" – „ბავარია" (21.00), ესპანეთის ჩემპიონატის სტარტის წინ (17.30), გერმანიის ჩემპიონატი. „კაიზერსლაუტერნი" – „შტუტგარტი", პირდაპირი ტრანსლაცია (23.10), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (12.10, 20.00), ოლიმპიური პრეს-ცენტრი (17.25), ***ESPN.*** საერთაშორისო საპლაჟო ფეხბურთი (10.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი-2002 (15.00).

**6 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი: „კაიზერსლაუტერნი" – „შტუტგარტი" (13.15), „ბორუსია" – „მიუნხენ-1860" (23.10), ჩემპიონთა ლიგის სტარტის წინ, 1999-2000 წ.წ. სეზონი: „რეალი" – „ბავარია", ნახევარფინალი (15.25), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (19.25), რუსეთის ჩემპიონატი: „დინამო" – „სპარტაკი" (19.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.40, 20.00), დიდი რინგი (17.40), ***EUROSPORT.*** ტრიატლონი. მსოფლიო თასი (20.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (0.00), საბრძოლო ხელოვნება (1.00).

**7 სექტემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.50), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო" – „სპარტაკი" (13.15), ჩემპიონატები: გერმანიის „ბორუსია" – „მიუნხენ 1860" (15.45), ბრაზილიის – „ატლეტიკო" – „სან-პაულუ" (17.40), საფრანგეთის (20.30), ჩემპიონთა ლიგის სტარტის წინ, 1999-2000 წ.წ. სეზონი, ნახევარფინალი: „ბავარია" – „რეალი" (23.10), ***НТВ плюс спори.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.40, 20.00), ოლიმპიური პრეს-ცენტრი (17.00), კატერებით რბოლა, მსოფლიო ჩემპიონატი (17.15), ტაილანდური კრივი (17.45), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი-2002 (12.00). მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (16.30), „ოლიმპიური თამაშები" (21.30, 4.00), მოტორბოლა, მსოფლიო თასი (23.00). სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (0.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

### კროსვორდი №68-ის პასუხები:

**თარაზულად:** 6. ცვეიბა, 8 გაბელია, 10. რენი, 11. ბექჰემი, 13. „რომა", 15. „არარატი", 16. „ვასკო..." 19. „ჰერტა", 20. ძოლა, 21. „ომონია", 25. ფანი, 26. ორტეგა, 30. როა, 31. „ბორუსია", 32. ფიგუ, 33. სკა, 35. ბურთი, 36. რომარიო, 37. ანი, 38. ხაგბა. **შვეულად:** 1. აცტეკა, 2. პეტი, 3. ნანტი, 4. დემეტრაძე. 5. დილა, 7. ბენე, 9. „ტვენტე", 11. „ბორდო", 12. „პარმა", 14. ჩივაძე, 17. სალდანია, 18. ჯო, 19. „ჰამბურგი", 22. ნენე, 23. „ალგა", 24. ფლო, 25. „ფორტუნა", 27. გასკოინი, 28. „სტიაუა", 29. „აუსტრია", 34. ლამა.

## რა ხდება ქვეყანაზე

### ფანატობა უბრალო რამ არ არის

ამერიკელი მკვლევარები ირწმუნებიან, რომ სპორტის გულშემატკივრების ემოცია სექსუალურს უტოლდება.

ილინოის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა სპორტული ფანატების გულისცემის, ოფლის გამოყოფის, თავის ტვინის ქერქის აქტიურობის ტესტირების შედეგად დაადგინა, რომ სპორტული ასპარეზობების ყურებისას ადამიანის ჰორმონალური პროცესები აქტიურად მიმდინარეობს.

მეორე სწავლულმა, ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ჯეიმს დაბსმა 1994 წლის მსოფლიო პირველობაზე ბრაზილიისა და იტალიის მატჩის შემდეგ გამოიკვლია მეტოქეების გულშემატკივართა... ნერწყვი და აღმოაჩინა საინტერესო კანონზომიერება: ბრაზილიელთა გამარჯვების შემდეგ მათი ტორსიდების ტესტოსტერონი 28 პროცენტით გაიზარდა. არანაკლებ ტემპერამენტიან იტალიელებს კი პირიქით, 27 პროცენტით დაეწიათ.

ანალოგიურ შედეგებამდე მივიდა ინდიანის უნივერსიტეტის მკვლევარი ედვარდ ჰირტი, რომელმაც ასეთი კანონზომიერება დაადგინა: ადგილობრივი კალათბურთის გუნდის მოგების შემდეგ მისი თაყვანისმცემლები იშვიათად ვარდებიან დეპრესიაში და დიდი ენერგიით ხიბლავენ ნაზ არსებებს, დამარცხების შემდეგ კი სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის რისკი ჩნდება და შეიძლება საავადმყოფოშიც აღმოჩნდნენ.

### კლავინდებურად გაიმარჯვა

***პოლონეთის საკურორტო ქალაქ პოლიანიცა — ზდრუიში დამთავრდა აკიბა რუბინშტეინის 37-ე მემორიალი.***

ტურნირში, ისევე, როგორც შარშან, ისრაელის წარმომადგენელმა, ყოფილმა მინსკელმა ბორის გელფანდმა გაიმარჯვა. მან მოუგო მთავარ მეტოქე ალექსეი შიროვს (ესპანეთი) და 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა, 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს შიროვმა და ვან ველიმ (ჰოლანდია).

5-5 ქულა მოაგროვეს ივანჩუკმა (უკრაინა) და კრასენკოვმა (პოლონეთი), 4-4 — ალმაშიმ (უნგრეთი), მოვსესიანმა (ჩეხეთი, ყოფილი თბილისელი) და მარკოვსკიმ (პოლონეთი), 3,5 — სვილდერმა (რუსეთი) და 1-1 ქულა — ფედოროვმა (ბელორუსია).

### ცნობები შენიანიდან

შენიანში (ჩინეთი) მიმდინარეობს მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი: წრიული შეჯიბრებები ჯგუფში. მოჭადრაკეები, როგორც ქალები, ასევე ვაჟები ექვს-ექვსად არიან დანაწილებული, ორ-ორი გამარჯვებული კი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ბრძოლას.

3 ტურის შემდეგ ქალთა ერთ-ერთ ჯგუფს ლიდერობს ნინო ხურციძე, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. ასეთივე შედეგი სხვა ჯგუფებში აქვთ დილსტატებს ვანგსა (ჩინეთი) და კრამლინგს (შვედეთი).

კარგი სტარტი აიღო ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელსაც 3 შესაძლებლიდან 2 ქულა აქვს. საყურადღებოა, რომ ზურაბმა დაამარცხა პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი).

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კg7! მუქარა 2. ეc5X.
1. ...მ3:d4 2. ეe5X. 1. ...მ5:d4 2. ეd6X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.